186
1984

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი — აგვისტო

1984 წ.

17.876

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1984 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

46. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 მარტის № 149 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

47. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 25 აგვისტოს № 1135 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
48. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 ივლისის № 615 დადგენილების მე-8 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
49. საბინაო კანონმდებლობის საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ
51. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას ახალგაზრდა დედებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

52. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის № 156 დადგენილებით დამტკიცებული საბინაო მეურნეობის ტრესტის შესახებ სანიმუშო დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე
53. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 2 მარტის № 108 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
54. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დამტკიცების შესახებ
55. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკური საუწ;ყებათაშორისო საკოორდინაციო სამართვლოს დებულების დამტკიცების შესახებ
56. საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა სამეცნიერო მომსახურების დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაციის შესახებ.
57. მხატვართა და მოქანდაკეთა შემოქმედებითი სახელოსნოებისათვის იჯარით მიცემული არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
58. უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიერ შესრულებული და წარმოებაში დანერგილი საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის ყოველწლიური რესპუბლიკური კონკურსების მოწყობის შესახებ
59. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ
60. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს დებულების ცვლილებათა და დამატებათა დამტკიცების შესახებ.
61. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების გამოყენების ინსტრუქციაში დამატების შეტანის შესახებ
62. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე ვენახების უნებართვოდ აჩეხვის აკრძალვისა და ამ საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტის შესახებ
63. სკოლა-ინტერნატებში კოლმეურნეთა შვილების მოვლა-პატრონობის საფასურის ოდენობისა და გადახდევინების წესის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

46 „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 მარტის № 149 დადგენილების ნაწილობრივი შეცვლის თაობაზე

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის გამარტივების, ავტონომიურ ოლქში მმართველობის რგოლების დუბლირების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება იმის შესახებ. რომ შეიქმნას ექსპერიმენტის წესით სამხრეთ ოსეთის საოლქო აგროსამრეწველო გაერთიანება განკერძოებული აპარატით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაერთიანების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ბაზაზე და დაექვემდებაროს ამ ორგანოს აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა საოლქო საწარმო და ორგანიზაცია.

2. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 5 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად შემოღებულ იქნეს დადგენილი წესით დამატებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.

3. სამხრეთ ოსეთის საოლქო აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაკთა შრომის ანაზღაურება და პრემირება განხორციელდეს ზემდგომი ორგანოების დადგენილების და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 3 ივნისის № 157/3-5 დადგენილების შესაბამისად იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოთა მუშაკებისათვის.

4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა:

— მიიღოს დადგენილი წესით გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის საოლქო აგროსამრეწველო გაერთიანების შექმნის საკითხზე და შეიტანოს შესაბამისი წინადადებანი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დასამტკიცებლად;

— შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს სამხრეთ ოსეთის საოლქო აგროსამრეწველო გაერთიანების დებულება, მისი მმართველობის აპარატის სტრუქტურა და საშტატო რიცხოვნობა.

5. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით:

— ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 მარტის № 149 დადგენილების 1-ლი პუნქტის მეოთხე აბზაცი;

— საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 მარტის № 149 დადგენილების მე-2 პუნქტის მეოთხე აბზაცში, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებში სიტყვები: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამმართველო“ შეიცვალოს სიტყვებით: „სამხრეთ ოსეთის საოლქო აგროსამრეწველო გაერთიანება“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე	**დ. ქართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1984 წ., 31 ივლისი № 623

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

47 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 25 აგვისტოს № 1135 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„სსრ კავშირში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 13 მარტის ბრძანებულების შესაბამისად ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 25 აგვისტოს № 1135 დადგენილება „საბიბლიოთეკო ფონდის დაცვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1935 წ., № 27, მუხ. 168).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 3 ივლისი, № 438

48 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 ივლისის №615 დადგენილების მე-8 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სსრ კავშირის საჰაერო კოდექსის დამტკიცებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 8 მაისის № 421 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-8 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 ივლისის № 615 დადგენილებისა „ქ. მოსკოვში, სოჭისა და ნოვოროსიისკის კურორტებზე 1954 წლის მოსავლის საადრეო ხილის გაგზავნის გეგმისა და საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საადრეო ხილისა და ყურძნის მიცემის გეგმის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 3 ივლისი, № 439

49 საბინაო კანონმდებლობის საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით და საბინაო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული ცვლილებანი, რომლებიც შეიტანება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 სექტემბრის № 641 დადგენილება „საუწყებო და სასამსახურო საცხოვრებელი სადგომების გამოყენების მოწესრიგების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 30 ივლისის № 462 დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ელექტრიფიცირებული რკინიგზების საკონტაქტო ქსელის სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 3 ივლისი, № 440

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 3 ივლისის № 440 დადგენილებით

ცვლილებანი,

რომლებიც შეიტანება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 4 მარტის № 246 დადგენილებაში „საწარმოების, მშენებლობათა და დაწესებულებათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ“:

— 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნება დაერთოთ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გაჰყიდონ მათი კუთვნილი საცხოვრებელი სახლები, რომელთა ზღვრული საცხოვრებელი ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 96 კვადრატულ მეტრს და დამხმარე ფართობი — 40 კვადრატულ მეტრს;

— მე-6 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „1-დან 5-მდე (ჩათვლით) ოთახიანი ერთსართულიანი და ორსართულიანი“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებაში „იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიის შესახებ, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით“:

— 1-ლი პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ცალკეული უწყებების იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სია, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა (მათთან ერთად მცხოვრები პირებითურთ) გამოსახლება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საცხოვრებელი სადგომის მიმცემ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან არასაპატიო მიზეზით საკუთარი სურვილის საფუძველზე, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით“;

—ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული სიის სათაურში სიტყვები „სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად“ შეიცვალოს სიტყვებით: „სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით“.

50 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებით დამტკიცებულ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ცალკეული უწყებების იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილის საფუძველზე, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„123. ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთმშენებელი ქარხანა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 3 ივლისი, № 441

51 რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას ახალგაზრდა დედებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ

უმაღლესი განათლების მიღების მსურველი ახალგაზრდა დედებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეთ დედებს, რომლებსაც ჰყავთ ორ წლამდე ასაკის შვილი და არ უმუშავიათ ორი წლის განმავლობაში ან ჰყავთ 2 და მეტი შვილი, შეღავათები რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას:

— დღის სწავლების ფორმით — როგორც აბიტურიენტებს, რომლებსაც აქვთ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი;

— საღამოს ან დაუსწრებელი სწავლების ფორმით — როგორც აბიტურიენტებს, რომლებსაც აქვთ პროფილის მიხედვით ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

2. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა მიმღებმა კომისიებმა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში უპირატესობა მისცენ დედებს, რომლებსაც ჰყავთ შვილები.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 25 ივლისის № 497 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 10 ივლისი, № 457

52 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის №150 დადგენილებით დამტკიცებული საბინაო მეურნეობის ტრესტის შესახებ სანიმუშო დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და „საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის № 150 დადგენილებით დამტკიცებულ საბინაო მეურნეობის ტრესტის შესახებ სანიმუშო დებულების პირველი კარის მე-8 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე აბზაცი:

„ზემდგომი ორგანოს ნებართვით (საჭიროების შემთხვევაში) დადგენილებით განსაზღვრული ტიპობრივი შტატების დამატებით — კოოპერაციული საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის განყოფილება 4-6 საშტატო ერთეულით, აპარატის რიცხოვნობის დამტკიცებული ლიმიტისა და მისი შესანახი ხარჯების ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟვანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 19 ივლისი, № 499

53 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 2 მარტის № 108 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„შრომითი კოლექტივებისა და საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 23 მაისის № 486 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 2 მარტის № 108 დადგენილების მე-13 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს მესამე აბზაცის შემდეგ დაემატოს ასეთი შინაარსის აბზაცი: „იმ მუშაკთა კანდიდატურებს, რომელთაც შეიძლება გაეწიოთ უსასყიდლო მატერიალური დახმარება და ნაწილობრივ დაეფაროთ ბანკის კრედიტი, ამტკიცებენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივები“, ხოლო მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე აბზაცები ჩაითვალოს შესაბამისად მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე აბზაცებად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად. რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 23 მაისის № 486 დადგენილებით შეტანილია ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებულ სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებაში, რომელიც დაიგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 ოქტომბრის № 1614 განკარგულებით:

ა) 88-ე პუნქტს დაემატა სიტყვები: „და ამტკიცებს საწარმოს შრომითი კოლექტივი“;

ბ) 96-ე პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდა ასეთი რედაქციით:

„წარუდგენს დასამტკიცებლად შრომითს კოლექტივს ტიპობრივი წესების შესაბამისად შემუშავებულ შრომითს შინაგანაწესს“;

გ) მე-14 პუნქტის უკანასკნელ აბზაცში, მე-17 პუნქტის პირველ და მესამე აბზაცებში, 41-ე პუნქტში, 50-ე პუნქტის უკანასკნელ აბზაცში, 55-ე პუნქტში, 81-ე პუნქტის უკანასკნელისწინა აბზაცში და „ნ“ ქვეპუნქტში, 90-ე პუნქტის უკანასკნელ აბზაცში, 95-ე პუნქტში, 96-ე პუნქტის პირველ აბზაცში, 97-ე, 98-ე და 101-ე პუნქტებში სიტყვები: „პროფესიული კავში-

რის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი“ შეიცვალა სიტყვებით: „პროფკავშირული კომიტეტი“:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 19 ივლისი, № 501

54 საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 19 ივლისი № 503

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 19 ივლისის № 503 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 6 ივნისის № 123-ვლ გადაწყვეტილებით დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებების მმართველობის მუშაკთა პრემირების ტიპობრივი დებულების შესაბამისად.

პრემირება ამ დებულების შესაბამისად შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებით, წარმოების შემდგომი განვითარებითა და სრულყოფით, სახალხო მოხმარების საქონელზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფით, პროდუქციის ხარისხის ამაღლებითა და მისი თვითღირებულების შემცირებით, მატერიალური, შრომითი და ფინანსური დანახარჯების ეკონომიით.

1. პრემირების მაჩვენებლები და პირობები

1. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს (მინისტრს, მინისტრის მოადგილეებს, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსს, საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსს) პრემიები მიეცემათ მოცემულ კვარტალში დაწესებული ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, № 1 დანართის თანახმად, ხოლო აღნიშნული სამინისტროს ცენტრალური აპარატის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს — მოცემულ კვარტალში დაწესებული შესადარ ფასებში სასაქონლო პროდუქციის მოცულობის, 1 მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე გაწეული დანახარჯების (სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების), შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების საერთო მოცულობაში მაღალი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წონის, ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვის გეგმების, უმნიშვნელოვანესი ნომენკლატურის პროდუქციის წარმოების გეგმის, მოგების საერთო თანხის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

2. 1-ლ პუნქტში აღნიშნული ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობისას პრემია არ გაიცემა..

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით შეუძლია მისცეს პრემიები ცალკეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფთა მუშაკებს მათთვის დაწესებული დავალებების შესრულებისათვის. ამასთან პრემია არ შეიძლება აღემატებოდეს პრემირების მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის დაწესებული ოდენობის 50 პროცენტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს საანგარიშო კვარტალში პროდუქციის ნომენკლატურის ცალკეულ სახეობათა მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობის შემთხვევებში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების საკითხი, თუ ნომენკლატურის ამ სახეობათა პროდუქცია დამზადებული და რეალიზებულია წინა პერიოდში ან მოხსნილია წარმოებიდან მომხმარებლის (შემკვეთის) მოთხოვნით, რაც დადასტურებულია სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ.

3. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირებისათვის, № 1 დანართით განსაზღვრული ძირითადი მაჩვენებლების გარდა, წესდება ამავე დანართით გათვალისწინებული დამატებითი პირობები.

ცენტრალური აპარატის დანარჩენ მუშაკთა პრემირებისათვის დამატებითს პირობებს დააწესებს მინისტრი პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

დამატებითი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტროს აპარატის მუშაკებს პრემიები შეუმცირდებათ ამ მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულების დონის შესაბამისად. მაგრამ არა უმეტეს 50 პროცენტისა.

4. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებისას მხედველობაში მიიღება პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულება დადებული ხელშეკრულებების (შესასრულებლად მიღებული განრიგების) შესაბამისად განსაზღვრული ოდენობით, ვადებში და ნომენკლატურის (ასორტიმენტის) მიხედვით.

პროდუქციის მიწოდების აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს ჩამოერთმევათ პრემიები მთლიანად ან ნაწილობრივ.

იმ ხელშეკრულებათა შესაბამისად პროდუქციის მიწოდების გათვალისწინებით მისი რეალიზაციის მოცულობის გეგმის უკმარშესრულების ზღვრული პროცენტები, როდესაც მთლიანად ჩამოერთმევათ პრემიები, დამტკიცდება ყოველწლიურად საქვეუწყებო საწარმოებში ამ პროცენტების საშუალო სიდიდის გათვალისწინებით. ხელშეკრულებათა შესაბამისად მიწოდების გათვა-

ლისწინებით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმის შესრულებ: შეფასდება საქვეუწყებო საწარმოების მიერ ამ მაჩვენებლის მიხედვით დავალებათა შესრულების ჯამით (სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ფორმა 1-პ).

იმ შემთხვევებში, როცა პროდუქციის რეალიზაციის გეგმის უკმარშესრულება მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით ზღვრულ პროცენტზე ნაკლებია, პრემიები შემცირდება № 2 დანართში მოყვანილი სკალის მიხედვით.

II. პრემირების წყაროები და პრემიების ოდენობა

5. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირება ხორციელდება მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის ხარჯზე, რომელიც იქმნება აღნიშნული სამინისტროს მატერიალური წახალისების საერთო ფონდის ფარგლებში.

პრემირების სახსრები გამოიყოფა ნორმატივის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით (მთლიანად სამინისტროს ხაზით მატერიალური წახალისების საერთო ფონდის პროცენტულად).

6. ამ დებულებით გათვალისწინებული პრემირების მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს პრემიების ოდენობა უწესდებათ ყოველწლიურად იმ სახსრების ფარგლებში, რომლებიც გამოყოფილია მოცემულ წელს მუშაკთა პრემირებისათვის დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად. პრემირებას არ შეიძლება მოხმარდეს სახსრები, რომლებიც დამტკიცებული ნორმატივის შესაბამისად შეეძლოთ გამოეყენებინათ ამ მიზნით წინა წელს, მაგრამ არ დაუხარჯავთ ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებათა და პრემირების დამატებითი პირობების შეუსრულებლობის გამო.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთათვის პრემიების ოდენობას აწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით.

ამ მუშაკთა პრემიების ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიხედვით პრემიების საშუალო ოდენობას (მათი თანამდებობრივი სარგებლობის პროცენტულად).

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დანარჩენ მუშაკთათვის პრემიების ოდენობას აწესებს მინისტრი პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით სამინისტროს საგეგმო მაჩვენებლების დაძაბულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონის, დაზოგილი ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის რაოდენობის გათვალისწინებით.

პრემირების მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიების ოდენობა განისაზღვრება გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან დაკავშირებით მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის დამატებით შემოსული (დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით) სახსრების ფარგლებში.

7. კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიები მცირდება დარიცხული თანხის 1 პროცენტით ყოველი საქვეუწყებო საწარმოსათვის, რომელსაც არ შეუსრულებია მისთვის დაწესებული დავალებანი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით და პრემირების დამატებითი პირობები.

ასეთივე წესით მინისტრს შეუძლია შეუმციროს პრემიების ოდენობა ცენტრალური აპარატის მუშაკებს, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რათა საწარმოებმა შეასრულონ საგეგმო მაჩვენებლების მიხედვით მათთვის დაწესებული დავალებანი.

გეგმის შესრულების ფაქტიურ დონესთან შედარებით შემცირების მხრივ მისი კორექტირებისას სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს ჩამოერთმევათ პრემიები სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ არანაკლებ 50 პროცენტისა.

8. ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებათა და პრემირების დამატებითი პირობების შესრულება აღირიცხება მზარდი შედეგით წლის დამდეგიდან. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებანი და პრემირების დამატებითი პირობები არ შესრულებულა მზარდი შედეგით წლის დამდეგიდან, მაგრამ შესრულდა საანგარიშო კვარტალში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია მისცეს აღნიშნულ მუშაკებს პრემიები საანგარიშო კვარტალის შედეგების მიხედვით გასაცემად დარიცხული პრემიის არა უმეტეს 50 პროცენტის ოდენობით. თუ აღნიშნული უკმარშესრულება შეივსება კალენდარული წლის მომდევნო პერიოდებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პრემიის იმ ნაწილის 50 პროცენტის გაცემის შესახებ, რომელიც დაირიცხება მოცემული წლის წინა პერიოდების მუშაობის შედეგებისათვის, მაგრამ არ გაცემულა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებათა და პრემირების დამატებითი პირობების შეუსრულებლობის გამო.

წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებათა და პრემირების დამატებითი პირობების შესრულებისას საანგარიშო კვარტალში მათი შეუსრულებლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია მიიჩნიოს პრემირების დამატებითი პირობების შეუსრულებლობად ან საწარმოო ხარვეზად.

თუ საშუალო ხელფასის ზრდა უსწრებს მთლიანად საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მიხედვით წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით გამოანგარიშებულ შრომის ნაყოფიერების ზრდას, სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთათვის დარიცხული პრემიების ოდენობა (თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად) მცირდება 1 პროცენტით (პუნქ-

ტით) შრომის ნაყოფიერების ზრდასთან შედარებით საშუალო ხელფასის უპირატესი ზრდის ყოველ პროცენტში.

9. მთლიანად საქართველოს სსრ კავების მრეწველობის სამინისტროს ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვისას ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელ მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის დარიცხული პრემიები არ მიეცემათ. ამასთან სამინისტროს ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვა გამოიანგარიშება როგორც სამინისტროს საქვეუწყაბო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ამ ფონდის შედარებითი გადახარჯვის (ეკონომიის) თანხა.

თუ სამინისტროს ხაზით დაშვებული ხელფასის ფონდის გადახარჯვა ანაზღაურდება ექვს თვემდე ვადაში, აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ 50 პროცენტი პრემიისა, რომელიც დარიცხული იყო, მაგრამ არ გაცემულა ხელფასის ფონდის გადახარჯვის გამო.

იმ შემთხვევაში, როცა სამინისტრომ საანგარიშო პერიოდში დაუშვა ხელფასის ფონდის გადახარჯვა, მაგრამ კალენდარული წლის დაწყებიდან გასულ პერიოდში აქვს საკმარისი ეკონომია ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვის დასაფარავად, სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს დარიცხული პრემიები მიეცემათ სრული ოდენობით.

ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის პასუხისმგებელ პირებს მიეკუთვნებიან მუშაკები, რომელთა თანამდებობანი ჩამოთვლილია № 3 დანართში.

10. საქართველოს სსრ კავების მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირება ხდება ყოველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ამ პერიოდში გასაცემად დარიცხული პრემიის 70 პროცენტის ოდენობით. პრემიის დანარჩენი 30 პროცენტი გაიცემა სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით იმ პირობით, თუ მთლიანად წლის განმავლობაში შესრულდება საგეგმო დავალებანი პრემირების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით.

11. საქართველოს სსრ კავების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, რომლებმაც უზრუნველყვეს შჩეკინოელთა მუშაობის მეთოდის წარმატებით დანერგვა საქვეუწყებო საწარმოებში, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსება, მომსახურების ზონების გაფართოება ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდება, შეიძლება მიეცეთ ერთდროული პრემიები წელიწადში ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

12. ამ დებულების მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად ერთი მუშაკისათვის მიცემული პრემიების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს სამი თვის სარგოს წელიწადში.

III. ზოგადი დებულებანი

13. სამინისტროს აპარატის მუშაკთათვის პრემიების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემები, აგრეთვე ოპერატიული აღრიცხვის მონაცემები.

14. მუშაკებს პრემიები დაერიცხებათ ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის, თანამდებობრივი სარგოდან გამომდინარე.

15. მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არასრული კვარტალი სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან, სასწავლებელში ჩარიცხვასთან, პენსიაზე გადასვლასთან, შტატების შემცირების და სხვა საპატიო მიზეზების გამო დათხოვნასთან დაკავშირებით, პრემიები დაერიცხებათ ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის.

16. პრემიებს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის დაამტკიცებენ:

— საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

— საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს აპარატის დანარჩენი მუშაკებისათვის — მინისტრი.

17. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლია გაადიდოს ამ დებულების მე-12 პუნქტში აღნიშნული საერთო ოდენობის ფარგლებში ან შეამციროს მუშაობის ხარისხისა და მუშაკის პირადი წვლილის გათვალისწინებით მისთვის დარიცხული პრემია, მაგრამ არა უმეტეს 25 პროცენტისა.

მუშაობაში არსებული ხარვეზებისათვის სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს შეიძლება ჩამოერთვათ პრემიები მთლიანად ან ნაწილობრივ.

ცალკეულ მუშაკებს შეიძლება ჩამოერთვათ პრემიები ანგარიშგების წამატებისა და დამახინჯებისათვის

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთათვის პრემიის ოდენობის აღნიშნული გადიდება (შემცირება) ან პრემიის ჩამორთმევა ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

18. ამ დებულების მე-5 და მე-10 პუნქტების შესაბამისად გაცემული პრემიები მხედველობაში მიიღება მომუშავის საშუალო ხელფასის გამოანგარიშებისას.

*

* *

ამ დებულებით გათვალისწინებული პრემიების გარდა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს შეიძლება მიეცეთ პრემიები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის, საზღვარგარეთ გასაყიდად საბჭოთა გამოგონებებისა და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ლიცენზიების დასაპატენტებლად და მოსამზადებლად მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. ამ მუშაკებს პრემიები სხვა სპეციალური სისტემების მიხედვით არ მიეცემათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 19 ივლისის № 503 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დანართი № 1

ნუსხა

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების ძირითადი მაჩვენებლებისა და დამატებითი პირობებისა, აგრეთვე მათი პრემიების ოდენობისა

თანამდებობათა დასახელება	პრემირების ძირითადი მაჩვენებლებისა და დამატებითი პირობების დასახელება
	პრემირების ძირითადი მაჩვენებლები
მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსი, საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი	შესადარ ფასებში სასაქონლო პროდუქციის მოცულობის, 1 მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე გაწეული დანახარჯების (სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების), წარმოების საერთო მოცულობაში მაღალი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წონის, შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმების შესრულება. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ძირითად სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის პროგრამებში და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვის გეგმაში შეტანილ ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვის საგეგმო დავალებათა შესრულება. უმნიშვნელოვანესი ნომენკლატურის პროდუქციის (ფხვნილი შაქარი, საკონდიტრო და მაკარონის ნაწარმი, ლუდი საცალო ფასებში, მინერალური წყლები, ალაო, ჰურის საფუარი, საკვები კონცენტრატები, დაფერმენტებული თამბაქო, პაპიროსი და სიგარეტი, ბოთლები, საკონსერვო მინის ტარა და სორტული ჭურჭელი) წარმოების გეგმის შესრულება.
	პრემირების დამატებითი პირობები
	კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულება, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება და ათვისება დაწესებულ ვადებში. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის შემცირება. არამწარმოებლური ხარჯების შემცირება. მატერიალური დანახარჯების ეკონომია, მათ შორის სათბობის, ენერგიის ხარჯვის შემცირება. მოგების საერთო თანხის დავალების შესრულება.

ს. ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	პრემირების ძირითადი მაჩვენებლებისა და დამატებითი პირობების დასახელება
	პრემიების ოდენობა თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად პრემიები დაირიცხება: — პრემირების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულებისათვის — 10,0 პროცენტის ოდენობით; — გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტისათვის: სასაქონლო პროდუქციის მოცულობისა — 0,035 პროცენტი; წარმოების საერთო მოცულობაში მაღალი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წონისა — 0,07 პროცენტი; 1 მანეთის პროდუქციაზე გაწეული დანახარჯების შემცირებისა — 0,003 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 19 ივლისის № 503 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დანართი № 2

ს კ ა ლ ა

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის იელმძღვანელ მუშაკთა პრემიების ოდენობის შემცირებისა პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის უკმარშესრულებისათვის

პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის უკმარშესრულების პროცენტი	პრემიების ოდენობის შემცირების სკალა (პროცენტი)
1,0-მდე	25
1,0-ზე მეტი 2,0-მდე	50
2,0-ზე მეტი 3,0-მდე	75
3,0-ზე მეტი	პრემია არ გაიცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 19 ივლისის № 503 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დანართი № 3

ნუსხა

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის იმ მუშაკთა თანამდებობებისა, რომელთაც არ მიეცემათ პრემიები ხელფასის ფონდის გადახარჯვის დაშვების გამო

მინისტრი.

მინისტრის მოადგილეები.

საგეგმო-ეკონომიკური, შრომის ორგანიზაციის, ხელფასისა და სოციალურ საკითხთა, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოების უფროსები, მათი მოადგილეები.

55 საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 30 ივლისი, № 572

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 30 ივლისის № 572 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო სამმართველოს შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო სამმართველო (შემდგომში სამმართველოდ წოდებული) მეთოდურ ხელმძღვანელობას, კოორდინაციასა და კონტროლს უწევს რესპუბლიკურ, საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების, ფილიალების, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიებისა და სამსახურების საქმიანობას.

2. სამმართველოს სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. თავის პრაქტიკულ საქმიანობაში სამმართველო ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით. სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებითა და ბრძანებებით, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის გადაწყვეტილებებითა და რეკომენდაციებით, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებითა, ბრძანებითა და ამ დებულებით.

4. სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც ამტკიცებს თანამდებობაზე და ათავისუფლებს დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

უფროსი ორგანიზაციას უწევს სამმართველოს მთელ მუშაობას და მთლიანად აგებს პასუხს მისი საქმიანობისათვის, არის საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის წევრი.

სამმართველოს უფროსის მოადგილეს, აგრეთვე სამმართველოს მუშაკებს თანამდებობებზე ნიშნავს და დაკავებული თანამდებობებიდან ათავისუფლებს უფროსის წარდგენით საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი.

სამმართველოს ფუნქციები

5. სამმართველოს ფუნქციები მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ის არის, რომ:

განახორციელოს ერთიანი პოლიტიკა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგში, რესპუბლიკურ, საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების ძირითადი ღონისძიებანი მოახმაროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრას;

შემდგომ განავითაროს და აამაღლოს შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების კოლექტიური ფორმების ეფექტიანობა, სრულყოს ამის საფუძველზე წარმოების მართვის სისტემა, აგრეთვე გაავრცელოს შრომის კოლექტიური ფორმები უფრო მსხვილ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე;

მონაწილეობა მიიღოს შრომის ნორმირების სრულყოფაში, ნორმების ხარისხის ამაღლებაში;

ორგანიზაცია გაუწიოს სამუშაო ადგილების პასპორტიზაციის, ატესტაციისა და რაციონალიზაციის სისტემის დანერგვას;

— განახორციელოს კონტროლი საწარმოთა დაპროექტების სტადიაში და მოქმედ წარმოებებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მოთხოვნების უზრუნველყოფისადმი;

შეიმუშაოს წინადადებანი შრომის პირობების გაუმჯობესების. მისი ყოველმხრივი შემსუბუქების, შრომის შინაარსიანობისა და მიმზიდველობის ამაღლების შესახებ;

მონაწილეობა მიიღოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის დარგში ეკონომიკური ექსპერიმენტების ორგანიზაციასა და განხორციელებაში;

შეისწავლოს და განაზოგადოს შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების დანერგვის დარგში სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილება (განსაკუთრებით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში), შეიმუშაოს მათი პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციები და წინადადებანი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პირობებისა და ამოცანების შესაბამისად.

6. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობისა და საქმიანობის კოორდინაციის დარგში სამმართველო ახორციელებს:

შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის დარგთაშორისი მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრის სამუშაოთა დაგეგმვასა და ორგანიზაციას;

მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლას და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრებთან ერთად ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელებას შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგში მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის;

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრებთან ერთად ერთობლივ სამუშაოებს შემოქმედებითი თანამეგობრობის ხელშეკრულებათა საფუძველზე.

სამმართველო თვალყურს ადევნებს პარალელიზმისა და დუბლირების აღმოფხვრას ნორმატიული და მეთოდიკური დოკუმენტაციის შემუშავებისას, მუშაობაში ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთდახმარების უზრუნველყოფას მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვისას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების მიერ მათთვის შეუფერებელი სამუშაოს (თემატიკის) შესრულების ფაქტების დადგენას.

7. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმების შემუშავებისას სამმართველო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შრომის ორგანიზაციის შემდგომ კომპლექსურ სრულყოფას შრომის ორგანიზაციის ტიპობრივი პროექტების საფუძველზე საამქროებში, უბნებში, მთლიანად საწარმოებში, შრომის ორგანიზაციის ბარათებისა — სამუშაო ადგილებზე, შრომის მოწინავე ხერხებისა და მეთოდების (მრავალი ჩარხის, მრავალი აგრეგატის მომსახურება, მომსახურების ზონების გაფართოება, პროფესიების შეთავსება) დანერგვისათვის მუშაობის მნიშვნელოვან გაფართოებას.

8. სამმართველოს პრაქტიკული საქმიანობა ხორციელდება სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან, სამინისტროთა (უწყებათა) შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ცენტრებთან (ლაბორატორიებთან), საწარმოებთან, გაერთიანებებთან და სხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობით.

9. სამმართველო:

კომპლექსურად სწავლობს ცენტრების, ფილიალების, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიებისა და სამსახურების მუშაობის პრაქტიკას (სამუშაოდ მიიწვევიან შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგობრივი ცენტრების, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის თანამშრომლები). შესწავლის შედეგები შესაბამისი რეკომენდაციებითურთ ეგზავნებათ სამინისტროებსა და უწყებებს;

მონაწილეობს მუშაობაში შრომის პრობლემების ნაწილში მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შესამუშავებლად და სარეალიზაციოდ, რაც მიზნად ისახავს შრომის ეფექტიანობის ამაღლებას, სამუშაოთა შესრულებას ნაკლები რაოდენობის პერსონალით;

ახორციელებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრებთან ერთად საბაზო საწარმოებში დარგთაშორისი (დარგობრივი) მნიშვნელობის მუშაობას შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის დარგში ნამუშევრების საცდელი ეკონომიკური შემოწმების, აპრობაციისა და ექსპერიმენტული დანერგვის, მოწინავე გამოცდილების სკოლების ორგანიზაციის ნაწილში;

მონაწილეობს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების მმართველობის აპარატის სრულყოფის თაობაზე წინადადებათა მომზადებაში, თვალყურს ადევნებს ინფორმაციული ნაკადების, დოკუმენტბრუნვის სრულყოფას;

ამოწმებს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემუშავებული შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ხუთწლიანი და წლიური გეგმების რეალურობასა და დაძაბულობას, კონტროლს უწევს მათს შესრულებას და წარუდგენს მათ შესახებ დასკვნებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

10. კოორდინაციის ძირითად საკითხებზე კოლექტიურ გადაწყვეტილებათა შემუშავების მიზნით სამმართველოში იქმნება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების დირექტორთა საბჭო, რომელიც ფუნქციონირებს შესაბამისი დებულებისა და სამუშაო გეგმის საფუძველზე.

11. ძირითად საგეგმო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის დარგთაშორისი მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრის სამუშაოთა განხორციელებას, წარმოადგენს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა და დარგთაშორისი ნამუშევრების წლიური საკოორდინაციო გეგმა, რომელსაც შეიმუშავებს სამმართველო სამინისტროთა და უწყებათა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების მონაწილეობით და დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

დამტკიცებული საკოორდინაციო გეგმა ეცნობებათ სამინისტროებს, უწყებებსა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრებს და აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შესაბამისი ცენტრების თემატიკურ გეგმებში.

სამმართველო წელიწადში ორჯერ შეადგენს მოკლე ანგარიშს საკოორდინაციო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, განიხილავს მას შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების დირექტორთა საბჭოს სხდომაზე; განხილვის შედეგები მოხსენდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს.

12. სამმართველოში იქმნება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების მიერ შესასრულებელ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და სხვა სამუშაოთა, აგრეთვე ამ დარგში მოწინავე გამოცდილების ამსახველი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის (საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად) დარგთაშორისი ფონდი.

სამმართველო კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა საქმიანობას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში მოწინავე გამოცდილების შესწავლის, დანერგვისა და შემდგომი გავრცელებისათვის.

13. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიასთან, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან ერთად სამმართველო იღებს ზომებს სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლებისათვის, შეჯიბრების მონაწილეთა მორალური და მატერიალური სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების

სრულყოფისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის.

14. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან, რესპუბლიკურ გაზეთებთან ერთად სამმართველო ამზადებს სპეციალურ სატელევიზიო რუბრიკებსა და გაზეთის გვერდებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის აქტუალურ საკითხებზე, ამ დარგში მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის შესახებ.

15. სამმართველოს უფლება აქვს:

მიიღოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგობრივი ცენტრებისაგან ნორმატიული და სხვა მასალები შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის შესახებ;

განახორციელოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრთან ერთად სპეციალური სოციოლოგიური და სხვა გამოკვლევები სამმართველოს კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე;

განახორციელოს რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად, პროფკავშირთა შესაბამისი საბჭოებისა და დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების მონაწილეობით მუშაობა შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოსავლენად და გამოსაყენებლად (მისი ორგანიზაციის, ნორმირებისა და პირობების გაუმჯობესება, სამუშაო დროისა და მოწყობილობის უფრო სრულად გამოყენება, სოციალისტური შეჯიბრების განვითარება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, შრომის ანაზღაურების სრულყოფა);

მოიწვიოს დადგენილი წესით კონფერენციები და თათბირები, ჩაატაროს თემატური გამოფენები და კინოფილმების ჩვენება, დათვალიერება-კონკურსები, მოწინავე გამოცდილების სკოლის მეცადინეობანი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგში;

ოპერატიულად გაუგზავნოს შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრს მასალები საქართველოს სს რესპუბლიკაში მოწინავე გამოცდილების შესახებ შემდგომ საინფორმაციო გამოცემებში გამოსაქვეყნებლად;

ყოველწლიურად გამოსცეს და გაუგზავნოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრებს კრებსითი საინფორმაციო ცნობა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისა და ეფექტიანობის ამაღლების მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისათვის რესპუბლიკაში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ;

საჭიროების კვალობაზე მოიწვიოს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის სხდომებზე სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები იმისათვის, რათა გამოვიდნენ ინფორმაციებით შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის დარგში გაწეული მუშაობის შესახებ;

ჩაატაროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სამსახურებისა და სხვა ქვედანაყოფების სპეციალისტებისათვის კონსულტაციები მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო წრის შესახებ.

სამმართველო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრთან ერთად აწყობს სპეციალურ კურსებს ყოველწლიურად ორ ნაკადად, მეცნიერ-სპეციალისტთა და პრაქტიკოს მუშაკთა მიზიდვით შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგობრივი ცენტრების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ფორმები და მეთოდები, რომლებსაც იყენებს სამმართველო შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მუშაობის ანალიზისა და შეფასების დროს

16. სამინისტროთა და უწყებათა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების, ფილიალების, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიებისა და სამსახურების საქმიანობის შედეგების ანალიზსა და შეფასებას წლიური (ხუთწლიანი) მუშაობის მაჩვენებლების მიხედვით სამმართველო ახორციელებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების, სხვა ქვედანაყოფებისა და სამსახურების ანგარიშების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ამსახველი სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცალკეულ მიმართულებათა მიხედვით ჩატარებული დათვალიერება-კონკურსების, აგრეთვე სხვა ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

17. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების, სხვა ქვედანაყოფებისა და სამსახურების მუშაობის ეფექტიანობის შეფასების გადამწყვეტ კრიტერიუმს წარმოადგენს მუშაკთა რიცხოვნობის შედარებითი შემცირება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მთლიანად წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელების ხარჯზე.

56 საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა სამეცნიერო მომსახურების დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს, მოყოლებული 1984 წლიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა სამეცნიერო მომსახურების მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის გეგმების პროექტების შემუშავება.

2. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო მომსახურების დაწესებულებანი, ყოველწლიურად წარუდგინონ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს სამეცნიერო მომსახურების მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის გეგმების პროექტები.

3. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს გაითვალისწინოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმების პროექტებში სამეცნიერო მომსახურების მუშაკთა საშუალო-წლიური რიცხოვნობა და ხელფასის ფონდი რესპუბლიკის იმ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო მომსახურების დაწესებულებანი.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა წარმოუდგინოს მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის გეგმების შემუშავებული პროექტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ასლი — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შემდგომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში გასაგზავნად სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტების შემუშავებისა და წარდგენისათვის დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 30 ივლისი, № 574

57 მხატვართა და მოქანდაკეთა შემოქმედებითი სახელოსნოებისათვის იჯარით მიცემული არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

მხატვართა და მოქანდაკეთა მატერიალური პირობების გაუმჯობესებისა და სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მხატვართა კავშირის წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, და დაწესდეს მხატვართა და მოქანდაკეთა შემოქმედებითი სახელოსნოებისათვის იჯარით მიცემული არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთი წელიწადში 1 მანეთისა და 50 კაპიკის ოდენობით 1 კვადრატული მეტრი ფართობისათვის (ძირითადი და დამხმარე).

მხატვართა და მოქანდაკეთა შემოქმედებითი სახელოსნოებისათვის იჯარით მიცემული არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის ზემოაღნიშნული განაკვეთი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1984 წლის 1 სექტემბრიდან.

2. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრები და წევრობის კანდიდატები, რომლებიც იჯარით იღებენ არასაცხოვრებელ სადგომებს შემოქმედებითი სახელოსნოებისათვის, განთავისუფლდნენ სახლმფლობელობის მართვის, მისი ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის საერთო საექსპლუატაციო ხარჯებში მონაწილეობისაგან.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 ოქტომბრის № 729 დადგენილების დანართი მხატვართა და მოქანდაკეთა შემოქმედებითი სახელოსნოებისათვის იჯარით მიცემული არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთის ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 30 ივლისი, № 575

58 უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიერ შესრულებული და წარმოებაში დანერგილი საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის ყოველწლიური რესპუბლიკური კონკურსების მოწყობის შესახებ

მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრების სახალხო მეურნეობაში დანერგვის დაჩქარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მოაწყოს, მოყოლებული 1984 წლიდან, ყოველწლიური რესპუბლიკური კონკურსები უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიერ შესრულებული და წარმოებაში დანერგილი საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესრულებული და წარმოებაში დანერგილი ყველაზე ეფექტიანი მეცნიერული ნამუშევრებისათვის კონკურსის შესახებ.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ერთი თვის ვადაში კონკურსების შედეგების შეჯამების შემდეგ შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს კონკრეტული წინადადებანი პრემიამინიჭებული ნამუშევრების წარმოებაში ფართოდ დანერგვის შესახებ, მათი შესრულების ვადებისა და პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრით.

4. პრემიები გაიცეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ხარჯზე.

5. კონტროლი პრემიამინიჭებული ნამუშევრების სახალხო მეურნეობაში დანერგვის მიმდინარეობისადმი დაეკისროთ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1984 წ. 2 აგვისტო, № 588

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 2 აგვისტოს № 588 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესრულებული და წარმოებაში დანერგილი ყველაზე ეფექტიანი მეცნიერული ნამუშევრებისათვის კონკურსის შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესრულებული და წარმოებაში დანერგილი ყველაზე ეფექტიანი მეცნიერული ნამუშევრებისათვის კონკურსი ეწყობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად აქტუალური სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადასაჭრელად უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერული პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების მიზნით.

წარმოებაში დანერგილი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევრების ავტორთა წასახალისებლად დაწესებულია 4 სპეციალური პრემია: ორი პირველი პრემია თითოეული 1200 მანეთის ოდენობით და ორი მეორე პრემია თითოეული 700 მანეთის ოდენობით.

პრემიები გაიცემა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ხარჯზე.

2. ეფექტიანი მეცნიერული ნამუშევრებისათვის კონკურსი ეწყობა ყოველწლიურად და ცხადდება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი ბრძანებით.

3. კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნეს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევრები, რომლებიც დაინერგა წარმოებაში კონკურსის ჩატარების წლის წინა წელს და მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ეფექტი მოიტანა.

ნამუშევრები, რომლებსაც ადრე მიეკუთვნა სხვა სახელობითი პრემიები, საკონკურსოდ არ მიიღება.

4. საკონკურსოდ წარმოდგენილ ნამუშევართა ავტორები (თანაავტორები) შეიძლება იყვნენ პროფესორები, მასწავლებლები, მეცნიერი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ასპირანტები, სტუდენტები, სასწავლო-დამხმარე პერსონალი, მუშები და პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ საკონკურსოდ წარმოდგენილი ნამუშევრის შესრულებასა და დანერგვაში.

საკონკურსოდ წარმოდგენილი კოლექტიური ნამუშევრის ავტორთა შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 7 კაცს.

5. კონკურსის ჟიური იქმნება კონკურსის ჩატარების წელს 11-15 კაცის შემადგენლობით.

კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარმომადგენლები და უმაღლესი სასწავლებლებისა და სახალხო მეურნეობის დარგების წამყვანი სპეციალისტები.

6. კონკურსის ჟიურის უფლება აქვს საჭირო შემთხვევებში მიიწვიოს ჟიურის სხდომებზე უმაღლესი სასწავლებლების, დარგების, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

7. კონკურსის ჟიურის რეკომენდაციების განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი ბრძანებით იქმნება საექსპერტო კომისიები მეცნიერებისა და ტექნიკის შესაბამისი განაყოფების მიხედვით.

საექსპერტო კომისიების შემადგენლობაში შედიან: ჟიურის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლებისა და სახალხო მეურნეობის დარგების სპეციალისტები.

8. კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ ნამუშევართა ავტორები კონკურსის ჟიურისა და საექსპერტო კომისიების შემადგენლობაში არ შეიყვანებიან.

9. კონტროლს კონკურსის ჩატარებისადმი ახორციელებენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მეცნიერების სამმართველო, საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილება.

მეცნიერული ნამუშევრების წარდგენისა და განხილვის წესი

10. მეცნიერულ ნამუშევრებს 7.32-81 სახსტანდარტის შესაბამისად გაფორმებული მეცნიერული ანგარიშების სახით საკონკურსოდ წამოაყენებენ კათედრები და სამეცნიერო დაწესებულებები, განიხილავს უმაღლესი სასწავლებლის საბჭო და რექტორი წარუდგენს სამინისტროებსა და უწყებებს დაქვემდებარების მიხედვით.

საკონკურსოდ წარდგენილ თითოეულ ნამუშევარს თან დაერთვის შემდეგი მასალები (ორ ცალად):

— რექტორის წერილი — წარდგენა;

— უმაღლესი სასწავლებლის საბჭოს გადაწყვეტილება ნამუშევრის საკონკურსოდ წამოყენების შესახებ;

— ავტორთა სია გვარების, სახელების, მამის სახელების, სამეცნიერო ხარისხების, წოდებების, უმაღლეს საწავლებელში დაკავებული თანამდებობების აღნიშვნით;

— ცნობა საკონკურსოდ წარდგენილი ნამუშევრის შესრულებაში თითოეული თანაავტორის პირადი წვლილის შესახებ;

— ნამუშევრის ანოტაცია მანქანაზე გადაბეჭდილი 3 გვერდამდე ტექსტის მოცულობით;

— პუბლიკაციების სია;

— დიპლომების, საავტორო მოწმობების, პატენტების, ჯილდოებისა და სხვა დოკუმენტების ასლები, რომლებიც ასახავენ ნამუშევრის საზოგადოებრივ აღიარებას;

— იმ სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების შეფასება-მოსაზრებანი, რეცენზიები, რომლებმაც დანერგეს აღნიშნული ნამუშევარი;

— აქტები სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრის შედეგების დანერგვის შესახებ, დადასტურებული წლიური ეკონომიკური ეფექტის აღნიშვნით;

— დაწესებული ფორმის საღრიცხვო ბარათი და ცნობები ავტორთა შესახებ.

საკონკურსოდ წარსადგენმა ნამუშევრებმა უნდა გაიაროს სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაცია სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკურ საინფორმაციო ცენტრში.

11. სამინისტროები და უწყებები, რომელთაც ექვემდებარებიან უმაღლესი სასწავლებლები, შესაბამის პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად მიიღებენ გადაწყვეტილებას უმაღლესი სასწავლებლების მიერ ამ დებულების მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად წარდგენილი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევრების საკონკურსოდ წამოყენების შესახებ, უგზავნიან მათ კონკურსის ჟიურის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში (წარდგენის ვადა გამოირკვევა ნამუშევრების საკონკურსოდ გაგზავნის თარიღზე საფოსტო შტემპელის მიხედვით).

12. საკონკურსოდ შემოსული მასალები (ამ დებულების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული) განიხილება ჟიურის სხდომაზე და დასკვნისათვის გაეგზავნებათ შესაბამის საექსპერტო კომისიებს.

13. საექსპერტო კომისიები წარდგენილი მასალის შესწავლის საფუძველზე მიიღებენ გადაწყვეტილებას ნამუშევრებისა და მათი ავტორთა კოლექტივების შესაბამისი პრემიებით დასაჯილდოებლად რეკომენდაციის შესახებ.

14. საექსპერტო კომისიების რეკომენდაციები განიხილება კონკურსის ჟიურის შემაჯამებელ სხდომაზე და კენჭისყრის შედეგების მიხედვით ჟიური მიიღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პრემიებით ნამუშევართა დაჯილდოების შესახებ ამ დებულების 1-ლი პუნქტით დაწესებული პრემიების რაოდენობის გათვალისწინებით.

ჟიური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებანი, თუ სხდომას ესწრება ჟიურის წევრთა სიობრივი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

ნამუშევარი რეკომენდებული იქნება შესაბამისი პრემიით დასაჯილდოებლად, თუ კენჭისყრაში მონაწილე ჟიურის წევრებმა მისცეს ხმის შემდეგი რაოდენობა:

ხმის სამი მეოთხედი — პირველი პრემიით;

ხმის ორი მესამედი — მეორე პრემიით.

თუ ნამუშევართა რიცხვი, რომელთაც ხმის საჭირო რაოდენობა მიიღეს, დაწესებული პრემიების რიცხვზე მეტი აღმოჩნდება, ჟიური შესაბამისი პრემიებით დასაჯილდოებლად რეკომენდაციას მისცემს ნამუშევრებს, რომლებმაც უფრო მეტი ხმა მიიღეს.

15. ჟიურის გადაწყვეტილება განიხილება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივ სხდომაზე, რომელიც დაამტკიცებს კონკურსის შედეგად შესაბამისი პრემიამინიჭებული ნამუშევრების სიას.

კონკურსის ლაურეატთა დაჯილდოების წესი

16. კონკურსის ლაურეატებს პრემიასთან ერთად გადაეცემათ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელები.

17. კონკურსის ლაურეატებს საპატიო სიგელებს გადასცემენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო და საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.

18. კონკურსის ლაურეატებისათვის გათვალისწინებულ პრემიებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო გადაურიცხავს უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებმაც წარადგინეს ნამუშევრები საკონკურსოდ.

უმაღლესი სასწავლებლები მისცემენ პრემიებს ავტორებს (თანაავტორებს).

ავტორთა კოლექტივის წევრებს შორის პრემიები განაწილდება თანაბრად.

59 საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ., 27 აგვისტო, № 628.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 27 აგვისტოს № 628 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი (საქსოფლსახკომი) არის საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობასა და მართვას თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

2. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 11 მარტის ბრძანებულებით გაუქმებული საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინიტსროს და საქსახსოფლტექნიკის ბაზაზე მისთვის შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების დაქვემდებარებით სოფლის მერუნეობის მართვის, კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის მათი ღონისძიებების მობილიზაციის, დარგის საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალისა და რესურსების უფრო სრულად გამოყენების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის მოცულობის განუხრელი ზრდის, რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. საქართველოს სსრ სასოფლო-სამერუნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს ექვემდებარებიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტები, კომიტეტის სისტემის რესპუბლიკური, სარაიონთაშორისო და რაიონული გაერთიანებები, ტრესტები, საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, აგრეთვე, მისი კომპეტენციის ფარლებში, სამხრეთ ოსეთის საოლქო, რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებები (გარდა მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის, მცხეთის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებისა, რომლებიც ექვემდებარებიან საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინიტსროს).

4. საქართველოს სსრ სასოფლო-სამერუნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის მყარი, პროპორციული და შეწონასწორებული განვითარება ყოველგვარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი განვითარებისა და გადიდების და ამ პროდუქციაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების, მაღალხარისხოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვისა და საერთო-საკავშირო ფონდში მიწოდების გეგმათა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვა ლდებულებათა შესრულების მიზნით;

— განახორციელოს ღონისძიებანი სასურსათო პროგრამის წარმატებით შესასრულებლად, მისი კომპეტენციის ფარგლებში რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებათა, აგრეთვე კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყფოად;

— უზურნველყოს რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებათა, კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულება, შეიმშუაოს და განახორციელოს ღონისძიებანი ჩამორჩენილ მეურნეობათა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის;

— უზრუნველყოს მიწის ინტენსიური გამოყენება და მისი ნაყოფიერების ამაღლება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მელიორაციის, მჟავე ნიადაგების გაკირიანების, მინერალური და ორგანული სასუქების რაციონალური გამოყენებისა და სხვა თანამედროვე აგრომელიორაციული ხერხების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე;

— აამაღლოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და განვითარების ინტენსიური ფაქტორების როლის გაძლიერების საფუძველზე;

— დანერგოს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და ხარისხის ამაღლების, რესპუბლიკის ბუნებრივ-ეკონომიკური რეგიონების შესაბამისად სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული ზონარული სისტემების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენების მეცნიერული რეკომენდაციები;

— ყოველმხრივ განამტკიცოს კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო დამოუკიდებლობა და ინიციატივა, სრულყოს საკოლმეურნეო დემოკრატია;

— განახორციელოს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში (საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინიტსროს კომპეცენტიისათვის განკუთვნილი საკითხების გარდა), მელიორირებული მიწების ექსპლუატაციაში, სრულყოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვის ორგანიზაცია, უზრუნველყოს დარგის განვითარების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

— რაციონალურად გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებანი და აამაღლოს მათი ეფექტიანობა, შეამციროს ობიექტების მშენებლობის ღირებულება და

ვადები, უზურნველყოს მათი დროულად ამოქმედება, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა ათვისება მოკლე ვადებში;

— ორგანიზაცია გაუწიოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წყალსამეურნეო საექსპლუატაციო ორგანიზაციების, გაერთიანებების და კომიტეტის სისტემის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე დამხმარე სასოფლო მეურნეობებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიწოდებას;

— მოამარაგოს დადგენილი წესით სახელმწიფო კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საწარმოები ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო, სამელიორაციო მანქანებისა და მეცხოველეობის მოწყობილობის სამარაგო ნაწილებით;

— სრულყოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, წყალსამეურნეო საექსპლუატაციო ორგანიზაციების, კომიტეტის სისტემის სხვა ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და საწარმოო მომსახურება;

— განავითაროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, აამაღლოს სოფლის მეურნეობაში საწარმოო პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე;

— უზრუნველყოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, კომიტეტის სისტემის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მანქანა-ტრაქტორთა პარკის მაღალი ტექნიკური მზადყოფნა, აგრეთვე მისი ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაცია;

— ორგანიზაცია გაუწიოს ტექნიკის მაღალმწარმოებლურ გამოყენებას, დანერგოს მემცენარეობასა და მეცხოველეობაში პროგრესული ტექნოლოგიები და შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმები;

— შეიქმნას მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზა, უზრუნველყოს საყოველთაო გადასვლა დარგის გაძღოლის ინტენსიურ მეთოდებზე, სასელექციო-სანაშენო მუშაობის ორგანიზაცია მეცხოველეობაში;

— ორგანიზაცია გაუწიოს ვეტერინარულ მომსახურებას რესპუბლიკაში მეცხოველეობის ვეტერინარული კეთილსაიმედოობისა და ვეტერინარულ-სანიტარული თვალსაზრისით ხარისხოვანი მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების, აგრეთვე ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო დაავადებებისაგან მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;

— განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი მიწის გამოყენებისა და დაცვისადმი, მცენარეთა კარანტინის, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობისა და სელექციის, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი;

— განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესლის ხარისხისადმი, ვეტერინარული კონტროლი, სახელმწიფო ზედამხედველობა სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური ექსპლუატაციი,ს შენახვის, ჩამოწერის, რემონ-

ტისა და ტექნიკური მომსახურების ხარისხის, ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების, შენახვისა და ხარჯების წესების დაცვისადმი;

— განახორციელონ ღონისძიებანი სამრეწველო, მომარაგების, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებთან საწარმოო კოოპერაციის საფუძველზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დამხმარე სასოფლო მეურნეობების და მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების შემდგომი განვითარებისათვის;

— განახორციელოს სოფლის მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული პირობების შემდგომი გაუმჯობესების, სოფლად თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნი ღონისძიებანი:

— სრულყოს აგროკომპლექსის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა, განავითაროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია და აგროსამრეწველო ინტეგრაცია, რაციონალურად გამოიყენოს მატერიალური, სათბობ-ენერგეტიკული, ფინანსური და სხვა რესურსები, გადამწყვეტ მიმართულებებზე მათი კონცენტრაციის აუცილებლობის გათვალისწინებით;

— სრულყოს სამეურნეო მექანიზმი და საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობანი, რაც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ერთიანობის და მაღალი საბოლოო შედეგებისათვის მისი ორიენტაციის უზრუნველყოფას;

— შექმნას კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობისათვის მკაცრი ეკონომიკური პირობები მართვის ეკონომიკური მეთოდების როლის ამაღლების დაგეგმვის, ეკონომიკური და მატერიალური სტიმულირების და სახელშეკრულებო ურთიერთობათა სრულყოფის, წარმოების რენტაბელური გაძღოლისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების გზით, დანერგოს შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების, მატერიალური და მორალური წახალისების რაციონალური ფორმები;

— დანერგოს შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, სრულყოს მართვის ფორმები და მეთოდები. უზრუნველყოს კომიტეტის სისტემის საწარმოები და ორგანიზაციები კვალიფიციური კადრებით, აამაღლოს მათი როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში, მოამზადოს და აამაღლოს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების კვალიფიკაცია;

— ყოველმხრივ განავითაროს სოციალისტური შეჯიბრება მუშაობის მაღალი საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევისათვის;

— შეიმუშაოს და განახორციელოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებანი;

— უზრუნველყოს სოციალისტური საკუთრების დაცვის ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგების თავიდან აცილება მისი წარმოებისა და რეალიზაციის ყველა ეტაპზე;

— უზრუნველყოს სამეურნეო ურთიერთობაში სოციალისტური კანონიერების დაცვა, სრულყოს სახელშეკრულებო მუშაობა და განამტკიცოს სახელ-

შეკრულებო დისციპლინა, განახორციელოს ღონისძიებანი კომიტეტის სისტემის გაერთიანებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

5. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს — მათი კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებში.

6. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და ამტკიცებს ნორმატიულ და სხვა საუწყებო აქტებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საკითხებზე, იძლევა განმარტებებსა და მითითებებს მიწის გამოყენებისა და დაცვის მეთესლეობის, მცენარეთა დაცვისა და კარანტინის, ქიმიზაციის, სანაშენო საქმის, ვეტერინარიის, სახსოვფლტექზედამხედველობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის, მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობათა გაძღოლის საკითხებზე რესპუბლიკური კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული აქტების, გამოყენების შესახებ, რომლებიც სავალდებულოა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, და მოქალაქეებისათვის.

7. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, მელიორირებული მიწების გამოყენებისათვის, დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მეთესლეობის, სანაშენო საქმის მდგომარეობისათვის, საკარანტინო სამსახურის, მცენარეთა დაცვის სამსახურის, მეცხოველეობაში ვეტერინარული მუშაობის, სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადების ორგანიზაციისათვის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, მინერალური სასუქებითა და ქიმიზაციის სხვა საშუალებებით მომარაგებისათვის, აგრეთვე მიწების გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის და კომიტეტისათვის დაკისრებული სხვა საკონტროლო ფუნქციების უზრუნველყოფისათვის.

8. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობას, როგორც წესი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ შესაბამისი სახელმწიფო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის საოლქო, რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის სხვა ორგანოების მეშვეობით.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოები და ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, მშენებლობის საწარმოები, დაწესებულებები და ორზგანიზაციები, სა-

ქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სხვა ორგანიზაციები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ორგანოები შეადგენენ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ერთიან სისტემას.

9. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მათი პრეზიდიუმების სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიების გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებით, მითითებებითა და ინსტრუქციებით, კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოსა და საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს დადგენილებებით, ამ დებულებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის სისტემის გაერთიანებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი განაზოგადებს თავის სისტემაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და დადგენილი წესით წარუდგენს საქართველოს სსრ მინისმტრთა საბჭოს.

10. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობას გეგმიან საფუძველზე, ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, კისრულობს პასუხისმგებლობას და სარგებლობს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და არის იურიდიული პირი.

II. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობა

11. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ მტკიცდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს სამი პირველი მოადგილე (საქართველოს სსრ მინისტრების რანგით), რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო

(სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი), აგრეთვე მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო; თავმჯდომარის პირველი მოადგილეები — საქართველოს სსრ მინისტრები — თავმჯდომარის მიერ მათ შორის მოვალეობათა განაწილების შემდეგ მთლიანად სარგებლობენ რესპუბლიკის მინისტრის სტატუსითა და უფლება-მოვალეობებით თავიანთი წრის ორგანიზაციულ-სამეურნეო საკითხების, მათ გამო საქვეუწყებო ქვედანაყოფებთან, სახალხო მეურნეობის მომიჯნავე დარგებთან და ზემდგომ ინსტანციებთან ურთიერთობის საკითხების გადაწყვეტისას.

12. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე) და თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე კომიტეტის სისტემის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, კოლეგიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

13. კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა და მომსახურების ძირითად საკითხებს და კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებს, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებების, დებულებების წესებისა და ინსტრუქციების პროექტებს, ისმენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სასოფლო-სამერუნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა, სამხრეთ ოსეთის საოლქო, რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეთა მოხსენებებს (სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობის საკითხებზე), კომიტეტის მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების, კომიტეტის სისტემის გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით, კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ შეატყობინონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის დადგენილებანი, კომიტეტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების ბრძანებანი, მითითებანი და განკარგულებანი სავალდებულოა შესასრულებლად კომიტეტის აპარატში, კომიტეტის სისტემის გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

14. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

— ორგანიზაციას უწევს სახელმწიფო კომიტეტის აპარატის მუშაობას და პერსონალურად პასუხისმგებელია კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და მისი ფუნქციების განხორციელებისათვის, ანაწილებს თავმჯდომარის მოადგილეთა და კომიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მოვალეობებს თავისი სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი ხელმძღვანელობისათვის და აწესებს მათს პასუხისმგებლობას კომიტეტის საქმიანობის ცალკეული სფეროების ხელმძღვანელობისათვის;

— განაგებს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად კომიტეტისათვის მიჩენილ ქონებასა და სახსრებს, წარმოადგენს კომიტეტის ინტერესებს სხვა სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოებში;

— ხსნის სსრ კავშირის სახბანკის (სსრ კავშირის მშენბანკის) დაწესებულებებში კომიტეტის შესაბამის ანგარიშებს;

— გამოსცემს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებს, წესებს, ინსტრუქციებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად კომიტეტის აპარატში, მისი სისტემის გაერთიანებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, და ამოწმებს მათს შესრულებას, საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

— მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად იღებს სამუშაოზე და ათავისუფლებს სამუშაოდან კომიტეტის აპარატის მუშაკებს, აგრეთვე დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის საოლქო რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებების განკერძოებული აპარატების ხელმძღვანელ მუშაკებს, კომიტეტის სისტემის სხვა გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს, იყენებს ამ მუშაკთა მიმართ წახალისების ღონისძიებებს ან ადებს მათ სასჯელებს;

— ამტკიცებს კომიტეტის საშტატო განრიგს, აგრეთვე კომიტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს. სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებში განისაზღვრება მათი უფლებამოსილებანი კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში;

— აწესებს კომიტეტის აპარატის მუშაკთა თანამდებობრივ სარგოებს თანამდებობრივი სარგოების მოქმედი სქემის შესაბამისად კომიტეტის აპარატის ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც გამოანგარიშებულია თანამდებობრივი სარგოების სქემის საშუალო სარგოების მიხედვით;

— ამტკიცებს კომიტეტის აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვას ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებულ ზღვრულ ასიგნებათა საერთო თანხის ფარგლებში (ხელფასის ფონდის გამოყოფით);

— აჩერებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტების ბრძანებათა და ინსტრუქციათა მოქმედებას, აუქმებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამხრეთ ოსეთის საოლქო, რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებების, აგრეთვე კომიტეტის საქვეუწყებო საწარამოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ გამოცემულ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მერუნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოცემულ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

საკითხი აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეთა მიერ ხელმოწერილი ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების შესახებ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახლემწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს შეაქვს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების მინიტსრთა საბჭოების განსახილველად;

— ქმნის, გარდაქმნი,ს აერთიანებს, ჰყოფს და აუქმებს დადგენილი წესით საქვეუწყებო გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

— ამტკიცებს დადგენილი წესით კომიტეტის საქვეუწყებო საწარმოთა წესდებებს, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დებულებებს (წესდებებს).

15. კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ კომიტეტის სახელით, წარმოადგენენ მის ინტერესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, შეუძლიათ შეასრულონ სამეურნეო ოპერაციები და დადონ ხელშეკრულებანი მინდობილობის გარეშე, აგრეთვე მისცენ მინდობილობანი კომიტეტის, მისი სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკებს.

16. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

17. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის შენახვის ხარჯების ოდენობა განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვით. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯები იფარება კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ანარიცხებიდან და საბიუჯეტო ასიგნებებიდან. ამასთან კოლმეურნეობები და სხვა

კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციები სახსრებს გადარიცხავენ მათი თანხმობით.

სპეციალური საბსახურების (მიწათმოწყობის, მცენარეთა დაცვის, ვეტერინარიის, სახსოფლტექზედამხედველობის და სხვ.) მუშაკთა შენახვის ხარჯები გაიღება საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

18. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი მისი სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის სამეურნეო დავის განსახილველად ქმნის არბიტრაჟს.

კომიტეტის არბიტრაჟს უფლება ენიჭება გასცეს ბრძანება მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებით ასრულების თაობაზე, არბიტრაჟის დებულებას ამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე.

III. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ქონება და სახსრები

19. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ქონებას შეადგენს დადგენილი წესით ცენტრალიზებული სახსრები, ფონდები და კომიტეტის სისტემის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მიჩენილი სხვა ქონება, ძირითადი და საბრუნავი სახსრები, ფონდები, რეზერვები და კომიტეტისათვის მიჩენილი სხვა ქონება. ამასთან კოლმეურნეობების ქონება მათს საკუთრებას წარმოადგენს.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ქონება აისახება მათს დამოუკიდებელ ბალანსზე, ხოლო თვით კომიტეტისათვის მიჩენილი ქონება — მის დამოუკიდებელ ბალანსზე. კოლმეურნეობათა, სამეურნეობათაშორისო საწარმოთა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციათა ქონება ამასთან აღირიცხება ცალკე და ამ მეურნეობების მიხედვით დგება ცალკე ბალანსი.

20. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოოების სახელმწიფო კომიტეტში შეიძლება შეიქმნეს შემდეგი ცენტრალიზებული ფონდები: წარმოების განვითარების ფონდი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი, მატერიალური წახალისების ფონდი, თავმჯდომარის ფონდი, სარეზერვო ფონდი, აგრეთვე სხვა საჭირო ფონდები და რეზერვები კანონმდებლობის შესაბამისად.

21. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი თავისი ვალდებულებების მიხედვით პასუხს აგებს მისთვის მიჩენილი იმ ქონებისათვის, რომელზეც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

IV. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის უფლება-მოვალეობანი

22. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

უფლება-მოვალეობანი დაგეგმვის დარგში

23. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი:

— შეიმუშავებს კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა ეკონომიკური და სოციალური განვითარების კრებსითი პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ დაწესებულ ვადებში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოოტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს;

— შეიმუშავებს საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინიტსროსთან ერთად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიან პროგნოზებს, მიზნობრივ პროგრამებსა და წინადადებებს სოფლის მეურნეობის შესაბამის სახეობათა პროდუქციის წარმოების, პროდუქციის დამზადების, გადამუშავებისა და შენახვის საწარმოთა და ორგანიზაციათა, მომსახურე და სხვა საწარმოთა რაციონალური განლაგების შესახებ სახალხო მეურნეობის ინტერესებისა და არსებული რესურსების უკეთ გამოყენების გათვალსიწინებით;

— დაუგზავნის აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო, რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებებს, აგრეთვე კომიტეტის საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი (წლების მიხედვით დაყოფით) და წლიური (კვარტალების მიხედვით დაყოფით) გეგმების შემდეგ მაჩვენებლებს:

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის —

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის — პირუტყვისა და ფრინველის, რძის, კვერცხის, ჩაის, ყურძნის, ხილის, მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული სხვა პროდუქციის მისაყიდად, ხოლო სპეციალიზებული მეურნეობებისათვის, გარდა ამისა, — იმ სახეობათა პროდუქციის მიყიდვის მოცულობებს, რომელთა წარმოებაზეც არიან დასპეციალებული ეს მეურნეობები;

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში: ხუთწლიანი გეგმების მიხედვით — ტრაქტორების, ავტომობილების, ტრაქტორის, მისაბმელების, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რცვალსაღები კომბაინებისა და სხვა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, კომბინირებული საკვების მიწოდების მოცულობას; წლიური გეგმების მიხედვით — მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ლიმიტებსა და ფონდებს;

ფინანსების დარგში: საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს — მოგების გეგმას, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელთა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებათა თანხებს;

შრომის დარგში: საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და გაერთიანებებს — ხელფასის ფონდს (ნორმატივს);

კაპიტალური მშენებლობის დარგში: საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და გაერთიანებების მიხედვთი, რომლებსაც კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფათ „სოფლის მეურნეობის" დარგით;

ძირითადი ფონდების (საწარმოო დანიშნულების ფონდების გამოყოფით), უმნიშვნელოვანესი საწარმოო სიმძლავრეებისა და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების ამოქმედება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის ნომენკლატურის მიხედვით, მათ შორის საწარმოო სიმძლავრეთა ზრდა მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის ხარჯზე;

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-სამონტაჟო და საიჯარო სამუშაოთა ლიმიტები (საწარმოო დანიშნულების ობიექტებისათვის ლიმიტების გამოყოფით), მათ შორის დანახარჯები მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის (ხუთწლიან გეგმაში);

კოლმეურნეობებს ეცნობებათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმათა გაანგარიშებით გათვალისწინებული იგივე მაჩვენებლები, რაც ურუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით;

კაპიტალურ დაბანდებათა გეგმები, საიჯარო სამუშაოთა ლიმიტები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმები და საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები მეურნეობებს დაეგზავნებათ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმებთან ერთად;

საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში: საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლები;

მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვის დავალებანი, რაც უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებით;

— რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებათა კრებსითი გეგმების საფუძველზე (სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაწილში) შეადგენს სოფლის მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის კრებსით გეგმებს და წარუდგენს მათ დაწესებულ ვადებში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მე-

ურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს;

— ადიფერენცირებს და დაუგზავნის რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებებს, აგრეთვე კომიტეტის საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის დაწესებულ ნედლეულის, მასალების, სათობობისა და ენერგიის ეკონომიის დავალებებს; ამტკიცებს და დაუგზავნის რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებებს, კომიტეტის საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს დადგენილი წესით მასალებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმებს.

უფლება-მოვალეობანი დარგთაშორისი საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დარგში

24. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინიტსროსთან ერთად ახორციელებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ღონისძიებებს სამეურენეო მექანიზმისა და დარგთაშორისი საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის სრულყოფისათვის, რაც ხელს უწყობს რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ერთიანობის უზრუნველყოფას და მისი ყველა დარგისა და საქმიანობის სახეობათა ზუსტ ორიენტაციას საბოლოო შედეგებზე, ამზადებს წინადადებებს, აგრეთვე მონაწილეობს წინადადებათა მომზადებაში საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფის შესახებ, შეიმუშავებს სასოფო-სამეურნეო წარმოებისა და მიწების მელიორაციის განვითარებისა და განლაგების სქემას მიწის, მატერიალური, შრომითი და სხვა რესურსების უკეთ გამოყენების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის გათვალისწინებით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საწარმოთა პერსპექტიული განვითარებისა და განლაგების სქემას;

— ამტკიცებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

კომიტეტის სისტემის სპეციალიზებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გაწეული და მათ მიერ ცალკე კომიტეტის სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის და სხვა სამინიტსროთა და უწყებათა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის შესრულებული მომსახურების ფასდებებს (ტარიფებს);

იმ პირუტყვის, საკვების, მასალებისა და სხვა რესრუსების საანგარიშსწორებო ფასებს, რომელთაც აწვდიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები რამდენიმე რ აიონის მეურნეობის მიერ კოოპერაციის საფუძველზე შექმნილ სამეურნეობათაშორისო საწარმოებს;

— გამოყოფს რესპუბლიკის რამდენიმე რაიონის მომსახურე გადამმუშავებელი საწარმოებისათვის ნედლეულის ზონებს საჭირო ასორტიმენტისა და

ხარისხის სათანადო ნედლეულით მათი უფრო სრული უზრუნველყოფის, პროდუქციის დანაკარგების და მისი ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების დანახარჯების შემცირების მიზნით;

— აცენტრალიზებს (დადგენილი წესით) საჭიროების კვალობაზე, კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წინადადებების მიხედვით რესპუბლიკის მასშტაბით მთლი ანად ან ნაწილობრივ ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულებას;

— საჭირო შემთხვევებში მონაწილეობს იმ წინადადებათა შემუშავებასა და განხილვაში, რომლებიც შეეხება მალფუჭებადი (ახალი) პროდუქციის (ბოსტნეული, ხილი, საადრეო კარტოფილი) შესასყიდი და საცალო ფასების დადგენილი წესით დამტკიცებას, სეზონების მიხედვით ამ პროდუქციაზე მოთხოვნისა და მიწოდების გათვალისწინებით;

— იღებს საჭირო ზომებს წარმოებული პროდუქციის დროული რეალიზაციისათვის, ეძებს მისი რაციონალური შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის შესაძლებლობებს.

უფლება-მოვალეობანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში

25. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი:

— დადგენილი წესით გეგმავს და ორგანიზაციას უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და თავისი სისტემის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში ახორციელებს დარგთაშორისი მართვის ორგანოს ფუნქციებს, რომლის საქონელგამტარი ქსელის მეშვეობითაც ხდება მატერიალურ-ტექტნიკური საშუალებების რეალიზაცია რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ფონდმფლობელი სამინიტსროებისა და უწყებებისათვის;

— ორგანიზაციას უწევს რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებების მეშვეობით კოლმეურნეობების, საბჭოთა მერუნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილების გამოვლენას სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახმომარაგების ნომენკლატურის პროდუქციაზე რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებათა მიერ წინასწარ განხილული განაცხადების საფუძველზე, და წარუდგენს მათ დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მერუნეობის სამინიტროს და სს კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს. განსაზღვრავს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოსა და ორგანიზაციის მოთხოვნილებებს სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის ცალკე სტრი-

ქონად გამოყოფილი საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ნომენკლატურის პროდუქციაზე, რომლის განაწილებას მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით ახორციელებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი, ხოლო სამარაგო ნაწილებზე — მთელი სახალხო მეურნეობისათვის, და უგზავნის კრებსით განაცხადს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს;

— ახორციელებს წარდგენილი განცხადების ანალიზს, ადგენს კრებსით განაცხადებს და წარუდგენს მათ დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მერუნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს, სექართველოს სსრ სახმომარაგებასა და სხვა ფონდმფლობელებს ფონდების გამოსაყოფად და დამტკიცებული ნომენკლატურის, თანახმად მატერიალურ-ტქენიკურ საშუალებათა წარმოებისათვის შეკვეთების გასანაწილებლად;

— ახორციელებს სოფლის მერუნეობაში და მიწების მელიორაციის დროს ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლების და ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარების, მისი კომპლექსური მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის, ახალი სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებებს;

— შეიმუშავებს ღონისძიებებს:

სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მანქანების რემონტის, ტექნიკური მომსახურებისა და შენახვის საწარმოო ბაზის განვითარებისათვის;

კომიტეტის სისტემის სახელოსნოებსა და სარემონტო საწარმოებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის, ავტომობილებისა და მოწყობილობის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების დანერგვისათვის, მათი ტექნიკური მზადყოფნის მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის;

— ორგანიზაციას უწევს ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო მანქანების, სარწყავი ტექნიკის, მეცხოველეობის ფერმების, ნავთობმეურნეობების მოწყობილობისა და ელექტრიფიკაცია-მექანიზაციის საშუალებების რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას, გაცვეთილი დეტალების მასობრივ აღდგენას, აგრეთვე მოწყობილობის დაკომპლექტების, მონტაჟისა და გამართვის სამუშაოთა განხორციელებას მეცხოველეობის ფერმებში, კომპლექსებში, მეფრინველეობის ფაბრიკებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ობიექტებში;

— ორგანიზაციას უწევს მანქანებისა და არასტანდარტული მოწყობილობის დამზადებას კომიტეტის სისტემის გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნილებათა შესაბამისად და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ნომენკლატურის მიხედვით;

— ორგანიზაციას უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებისათვის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ცენტრალიზებულ მიწოდებას, ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნაკრებიანი ტრაქტორების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ინდუსტრიული ტექნოლოგიისათვის საჭირო მანქანებისა და იარაღების კომპლექსურ მიწოდებას;

— ქმნის გაუნაწილებელ რეზერვებს იმ ფონდების წლიური მოცულობის 5 პროცენტის ოდენობით, რომელთაც კომიტეტის ხელმძღვანელობა ანაწილებს, ხოლო სამარაგო-ნაწილებისა — 7 პროცენტამდე;

— კონტროლს უწევს მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკურ მდგომარეობას, ექსპლუატაციას, შენახვას, ჩამოწერას, რემონტს, ტექნიკურ მომსახურებას, ნავთობპროდუქტების მიტანას, შენახვასა და გამოყენებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო და სამეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებში (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა), აგრეთვე ტრანსპორტირების წესების დაცვას;

— შეიუშავებს და ახორციელებს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სატრანსპორტო სამუშაოთა რაციონალური ორგანიზაციისა და ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებს;

— ორგანიზაციას უწევს კომიტეტში სატრანსპორტო სამუშაოთა სისტემას და უზრუნველყოფის მათს მუდმივ სრულყოფას, შეიმუშავებს ტვირთზიდვის ხუთწლიან და მიმდინარე გეგმებს, ორგანიზაციას უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მერუნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების ტვირთების საჭირო ცენტრალიზებულ გადაზიდვას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზიდვას მეურნეობებიდან დამამზადებელ პუნქტებში, ამ პროდუქტების გადამმუშავებელ საწარმოებში, მონაწილეობს საკინიგზო ტვირთზიდვასთან და მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, ორგანიზაციას უწევს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და აკონტროლებს ტვირთზიდვის გგემების შესრულებას;

— განსაზღვრავს ავტომობილების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო, საგზაო-სამშენებლო და სამელიორაციო მანქანების სამარაგო ნაწილებზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ და მიმდინარე მოთხოვნილებას სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის; წარუდგენს ცნობებს მათზე მოთხოვნილების შესახებ ყველა გაანგარიშებითა და დასაბუთებითურთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს;

— ანაწილებს რაიონების მიხედვით, მათი განაცხადების გათვალისწინებით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმომარაგებისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით დამტკიცებულ ნომენკლატურაში არ შედის;

— კონტროლს უწევს სოფლის მეურნეობისა და წყალსამეურნეო საექსპლუატაციო ორგანოებისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიწოდების გეგმების შესრულებას და მიწოდებულ საშუალებათა ხარისხს, აგრეთვე სოფლის მეურნეობისათვის დამზადებული ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მეცხოველეობის მოწყობილობისა და მათი სამარაგო ნაწილების ხარისხს;

— დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განსაზღვრავს სოფლის მეურნეობისა და წყალთა მერუნეობის მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას ტრაქტორებზე, სასოფლო-სამეურნეო და სამეულიორაციო მანქანებზე, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე, აგრეთვე მათს სამარაგო ნაწილებზე, მათ შორის იმპორტის წესით მიწოდებულზე, წარუდგენს ცნობებს მათზე მოთხოვნილების შესახებ საჭირო გაანგარიშებითა და დასაბუთებითურთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს, ახორციელებს კონტროლს მიწოდების გეგმების შესრულების მიმდინარეობისადმი;

— ამოწმებს საქვეუწყებო დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებას, დადგენილი წესით დამტკიცებული მატერიალური რესურსების მარაგისა და ხარჯვის ნორმების დაცვას, ხოლო საქონლის ზენორმატიული მარაგის არსებობის ამ მათი ჯეროვანი შენახვის შეუძლებლობის შემთხვევაში გადაანაწილებს გამოსაყოფ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს ან გადაიტანს მათი მიწოდების ვადებს;

— კონტროლს უწევს ყოველგვარი მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის დამტკიცებული ნორმების გამოყენების სისწორეს, მათი გადასინჯვის საჭირო პერიოდულობას გეგმებით დაწესებული ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის ვადების გათვალისწინებით, აგრეთვე აღნიშნული ნორმების შემცირების დავალებათა შესრულების მკვეთრ შემცირებას მათი დამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების ყველა სტადიაზე,მეორეული რესურსების, თანაპროდუქტების უფრო სრულად გამოყენებას წარმოებაში;

— უზრუნველყოფს მეურნეობებს მანქანებისა და მოწყობილობის რემონტის, შენახვისა და ტექნიკური მომსახურების ტექნიკური დოკუმენტაციით;

— უზრუნველყოფს აგროსამრეწველო კომპლექსისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა კუთვნილი ტრაქტორების კაპიტალური რემონტის ჩატარებას;

— უზრუნველყოფს კონტროლს სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვისა და დაცვისადმი;

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას ახალი მანქანების სრული აწყობის, რეგულირებისა და გასახმარისებისათვის და მათს მიტანას მეურნეობებში საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ტრანსპორტით ფრანკო-მომხმარებლის მეურნეობა პირობებით;

— ახორციელებს დადგენილი წესით ყველა მშენებარე და სარეკონსტრუქციო მეცხოველეობის კომპლექსების, მეფრინველეობის ფაბრიკების, მეცხოველეობისა და მეცრინველეობის ფერმების დაკომპლექტებას მოწყობილობით, არმატურით, ხელსაწყოებით, ავტომატიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით, კაბელითა და სხვა ნაკეთობა-მასალებით, რომელთა მიწოდება შემკვეთს ეკისრება (გარდა მშენებარე მსხვილი სახელმწიფო მეცხოველეობის კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკებისა, რომელთა დაკომპლექტება სსრ კავშირის სახმომარაგებას ეკისრება);

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით საკომისიო ვაჭრობის განსახორციელებლად, გადაანაწილებს გაუსაღებელ და ზედმეტ მანქანებს, მოწყობილობას, სამარაგო ნაწილებსა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს;

— უზრუნველყოფს სახელმწიფო (სამეურნეობათაშორისო) სარწყავი და დამშრობი სისტემების, საირიგაციო და სამელიორაციო ნაგებობების, ჯგუფური სასოფლო წყალსადენებისა და საძოვარგამაწყლოვანებელი სისტემების ექსპლუატაციას და წესივრულ მდგომარეობაში მოვლა--შენახვას;

— განსაზღვრავს მიწების მელიორაციის განვითარების ძირითად მიმართულებებს, წყვეტს საირიგაციო ნაგებობათა მუშაობის რეჟიმთან, აგრეთვე მათ კომპლექსურ გამოყენებასთან და მდინარეთა ჩანადენის სარესპუბლიკათაშორისო განაწილებისას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— ახორციელებს დროებითი და კაპიტალური ნაპირგასამაგრებელი, ეროზიასაწინააღმდეგო და ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების მშენებლობას სასოფლო დასახლებული პუნქტებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დასაცავად;

— მონაწილეობს მიწების მელიორაციის პერსპექტიული გეგმების შემუშავებაში და ათანხმებს წლიურ გეგმებს; შექვს წინადადებანი სამელიორაციო სისტემათა ტექნიკური მდგომარეობისა და წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესების, აგრეთვე მორწყვისა და დაშრობის მოწინავე მეთოდების, სარწყავი, დამშრობი და გამაწყლოვანებელი სისტემების ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის დანერგვის შესახებ;

— შეიმუშავებს და ამტკიცებს წყალსარგებლობის სასისტემო და საარონთაშორისო გგემებს, უზრუნველყოფს წყალმოსარგებლეებს წყლით სახელმწიფო სარწყავი სისტემებიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსარწყავად, აგრეთვე საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, ენერგეტიკული და სხვა საჭიროებისათვის წყალსარგებლობის გეგმების საფუძველზე;

— უზრუნველყოფს სარწ:ყავი, დამშრობი და გამაწყლოვანებელი სისტემებისა და ნაგებობების კადასტრის წარმოებას, აანალიზებს კადასტრის მონაცემებს და იყენებს მათ სამელიორაციო და წყალსამეურნეო ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების დროს;

— ქმნის სარწყავი და დაშრობილი მიწების საექსპლუატაციოდ მიმღებ კომისიებს, ამტკიცებს მათს სამუშაო გეგმებს;

— უზრუნველყოფს კონტროლს მიწების მელიორაციული მდგომარეობისადმი;

— მონაწილეობს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემის ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ სარწყავი მიწების გამოყენების ყოველწლიურ აღრიცხვაში, აანალიზებს აღრიცხვის შედეგებს და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მერეწნეობის სამინისტროს წინადადებებს მელიორირებული მიწების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ;

— ორგანიზაციას უწევს წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას;

— უზრუნველყოფს კომიტეტის სისტემის კოლექტიური სარგებლობის საინფორმაციო-გამოთვლით საშუალებათა შექმნას და მუდმივ განვითარებას;

— ორგანიზაციას უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების პრეტენზიების განხილვას მიწოდებული მანქანების, მოწყობილობის, სამარაგო ნაწილებისა და სხვა საქონლის ხარისხისა და კომპლექტურობის საკითხებზე. წარუდგენს პრეტენზიებს ამ საკითხებზე მიმწოდებელ საწარმოებს და იღებს ზომებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

უფლება-მოვალეობანი კაპიტალური მშენებლობის დარგში

26. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი:

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზაციას უწევს და წარმართავს რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებათა, აგრეთვე კომიტეტის სისტემის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას კაპიტალური მშენებლობის დარგში, ამასთან ხელმძღვანელობს კაპიტალური მშენებლობის გეგმით, რომელიც შემუშავებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კრებსითი გეგმის შესაბამისად;

— ახორციელებს სახელმწიფო ხელმძღვანელობასა და კონტროლს რესპუბლიკის გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ საქმიანობისადმი;

— ხელმძღვანელობს საქვეუწყებო საპროექტო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ბიუროებისა და სასოფლო მშენებლობის სხვა საპროექტო ორგანიზაციების მუშაობას და ახორციელებს კონტროლს მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი;

— უმტკიცებს რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკოლმეურნმშენს“ და სხვა საქვეუწყებო სამშენებლო ორგანიზაციებს საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, კომიტეტის სისტემის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში საწარმოო სიმძლავრეების, საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის ობიექტების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და სახალხო განათლების ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა ფარგლებში;

— უზრუნველყოფს მშენებლობის ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმების შესაბამისობას გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ და შრომითს რესურსებთან;

— ორგანიზაციას უწევს დადგენილი წესით კომიტეტის სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალურ დაბანდებათა კოოპერირების საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის;

— ორგანიზაციას უწევს ადგილობრივი საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების, აგრეთვე იმ მოწყობილობის დამატებითს წარმოებას, რაც საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

— განსაზღვრავს კომიტეტის სისტემის მშენებლობისათვის ტექნიკური ზედამხედველობის აპარატის საშტატო რიცხოვნობასა და ხელფასის ფონდს მშენებლობის მოცულობისა და მოქმედი ნორმების შესაბამისად;

— განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში კაპიტალური მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაციის, კომიტეტის სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების იმ მშენებლობათა და ობიექტების ნუსხებისა და სატიტულო სიების დამტკიცების წესს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 3 მილიონ მანეთამდე;

— ახორციელებს კონტროლს კომიტეტის სისტემის გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობისადმი, რაც სრულდება როგორც სამეურნეო, ისევე საიჯარო წესით, კაპიტალური მშენებლობის გეგმებისა და ხელშეკრულებების რეალიზაციისადმი, იღებს ზომებს იმისათვის, რათა დროულად გადაეცეს საექსპლუატაციოდ ძირითადი ფონდები, საწარმოო სიმძლავრეები, საცხოვრებელი სახლები და არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტები;

— ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის წინადადებებს იმის შესახებ, რომ მშენებლობებსა და ობიექტებს, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ გეგმას, გაუდიდდეთ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმები იმ მშენებლობებისა და ობიექტებისათვის შემცირების ხარჯზე, რომლებიც ვერ ასრულებენ გეგმას, ძირითადი ფონდებისა და სიმძლავრეების ამოქმედების დავალებათა შეუცვლელად;

— საჭიროების კვალობაზე ცენტრალიზებულს ხდის შემკვეთისა და ტექნიკური ზედამხედველობის ფუნქციებს კომიტეტის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხაზით მშენებლობაში.

უფლება-მოვალეობანი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში

27. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი:

— ახორციელებს მუშაობას ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრებით კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განმტკიცებისათვის;

— ახორციელებს დადგენილი წესით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სასოფლო- საწეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის საოლქო, რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებების, კომიტეტის სისტემის რესპუბლიკური და სარაიონთაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების, კომიტეტის მმართველობის აპარატის კადრების შერჩევას, აღზრდასა და განაწილებას, შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაწინაურებელი კადრების რეზერვის შესაქმნელად და მოსამზადებლად, განსაზღვრავს მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას სპეციალისტებზე;

— ორგანიზაციას უწევს სოფლის მეურნეობის მუშაკთა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, ხელმძღვანელობს კადრების მომზადებასა და აღრიცხვას;

— შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის;

— ადგენს საქვეუწყებო სასწავლებლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაკომპლექტების გეგმებს, ორგანიზაციას უწევს ამ გეგმების შესრულებას;

— ამტკიცებს კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მმართველობის აპარატის სტრუქტურას, შტატებსა და ხარჯთაღრიცხვებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების გარდა, რომელთა ხელმძღვანელებს მინიჭებული აქვთ უფლება დაამტკიცონ მმართველობის აპარატის საშტატო განრიგი და შენახვის ხარჯთაღრიცხვა, კომიტეტისათვის დაწესებული მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის საერთო ლიმიტისა და ამ აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა საერთო ოდენობის ფარგლებში;

— უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, კოლექტიური იჯარის და შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სხვა ფორმების დანერგვის, მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, ხელფასის ფონდის დაგეგმვის ნორმატიული მეთოდის, აგრეთვე კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შრომითი კოლექტივების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით მათ მორალური და მატერიალური სტიმულირების სისტემის დანერგვის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას. კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირება ხდება სოფლის მეურნეობაში სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური გაერთიანებების მმართველობის მუშაკთა პრემირების დებულების თანახმად;

— ამტკიცებს კომიტეტის სისტემის გაერთიანების, საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებს დაწესებული მაჩვენებლების შესაბამისად;

— ახორციელებს კონტროლს ხელფასის ხარჯვისადმი; ქმნის ხელფასის ფონდის რეზერვს კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელფასის ფონდის 2 პროცენტის ფარგლებში;

— პრემირების ტიპობრივ დებულებათა საფუძველზე აწესებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით კომიტეტის სისტემის გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების მაჩვენებლებსა და პირობებს;

— ორგანიზაციას უწევს პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობის წარმოების მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის, სოციალისტური შეჯიბრების განვითარების, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების და მათში მიღებულ ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის უზრუნველსაყოფად;

— შეიმუშავებს და ახორციელებს თავისი სისტემის სოციალური განვითარების ღონისძიებებს.

უფლება-მოვალეობანი ფინანსების კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში

28. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი:

— შეიმუშავებს კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საფინანსო და საკრედიტო გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ დაწესებულ ვადებში საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს;

— ანაწილებს დადგენილი წესით საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორისაგან მიღებული მაჩვენებლებისა და ლიმიტების საფუძველზე შესაბამის მაჩვენებლებს, ასიგნებებსა და ლიმიტებს და უგზავნის მათ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო, რაიონულ (საქალაქო) აგროსარეწველო გაერთიანებებს, აგრეთვე კომიტეტის სისტემის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

— ორგანიზაციას უწევს შემოსავალ-გასავლის ერთიანი ბალანსის შედგენას, რომელიც შეიცავს კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მთელ შემოსავალ-გასავალს, მათ შორის გადასახდელებს სახელმწიფო ბიუჯეტში, ასიგნებებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაკრედიტების ლიმიტებს; განიხილავს და იღებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაწილში რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებათა, აგრეთვე კომიტეტის სისტემის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შემოსავალ-გასავლის ბალანსებს;

— უცვლის საჭიროების კვალობაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაწილში, აგრეთვე კომიტეტის სისტემის უშუალოდ დაქვემდებარებულ გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს საფინანსო გეგმების მაჩვენებლებს და გადაანაწილებს ამის საფუძველზე ფულად სახსრებს, ასიგნებებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ლიმიტებს;

— იღებს ზომებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა დროულად და მთლიანად შესრულებისათვის, აგრეთვე საბიუჯეტო ასიგნებათა მიზნობრივად და ეკონომიურად გამოყენებისათვის;

— ცენტრალიზებულს ხდის ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების თავისუფალ ნაშთებს და წარმართავს მათ კომიტეტის სისტემის იმ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც არ ჰყოფნით საკუთარი სახსრები ამ მიზნებისათვის;

— ცენტრალიზებულს ხდის კომიტეტის სისტემის გაერთიანებებში. საწარმოებსა და ორგანიზაციებში კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების საერთო თანხის 10 პროცენტამდე და აძლევს მათ იმ საწარმოებს, რომელთაც არ ჰყოფნით საკუთარი სახსრები კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად;

— იღებს კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური ანგარიშების მიხედვით გამოვლენილ ჭარბ საკუთარ საბრუნავ სახსრებს და აძლევს მათ კომიტეტის სისტემის სხვა საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მათი ნაკლებობის შესავსებად და საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების ზრდის დასაფინანსებლად სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების შესაბამისად;

— ცენტრალიზებულს ხდის გადასანაწილებლად საბჭოთა მეურნეობების წლიური ანგარიშების მიხედვით ფაქტიურად მიღებული მოგების თავისუფალ ნაშთს, ცალკეული რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებების სამრეწველო და სხვა საწარმოთა დაგეგმილ მოგებას და სხვა ფულად სახსრებს და წარმართავს მათ საფინანსო გეგმის მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა, პროდუქტიული და მუშა პირუტყვის ძირითადი ჯოგის ფორმირების ხარჯების, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის ზრდის დაფინანსებაში საკუთარი სახსრების უკმარი ნაწილის შესავსებად, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შესავსებად, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი კრედიტების დავალიანების დასაფარავად და საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად კომიტეტის კოლეგიის ცალკეულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე;

— გადაანაწილებს საჭიროების კვალობაზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებით გაერთიანებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გამოყოფილ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მოკლევა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანი და გრძელვადიანი კრედიტების წლიური და კვარტალურ ლიმიტებს კომიტეტებისათვის დაწესებული საერთო ლიმიტის ფარგლებში;

— მოამზადებს და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად ძირითადი ფონდებით არასაკმარისად აღჭურვილი ზარალიანი და დაბალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ნუსხებს; ანაწილებს ამ მიზნებისათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებებს და ამოწმებს მიზნობრივი დანიშნულებით მათი გამოყენების ეფექტიანობას.

29. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი ორგანიზაციას უწევს აღრიცხვასა და ანგარიშგებას კომიტეტის სისტემის საქვეუწყებო მეურნეობებში, გაერთიანებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, განიხილავს და ამტკიცებს აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, სამხრეთ ოსეთის საოლქო, რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანების ანგარიშებსა და ბალანსებს კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაწილში, ადგენს კომიტეტის საქმიანობის სახეობათა მიხედვით კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს, ორგანიზაციას უწევს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას და ახორციელებს სისტემატურ კონტროლს კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების საქმიანობისადმი; წარუდგენს კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, აგრეთვე საქმიანობის შესაბამის სახეობათა მიხედვით — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს;

— უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვას კომიტეტის სისტემის გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში; წელიწადში ერთხელ მაინც ატარებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაწილში რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებების, რესპუბლიკური გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტებისა და დაწესებულებების საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსურ დოკუმენტურ რევიზიას;

— უზრუნველყოფს ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვას, ეკონომიის რეჟიმის შესრულებას, ატარებს რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებათა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზს, აგრეთვე კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა, და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივ ანალიზს; ახორციელებს კონტროლს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებისადმი, უზრუნველყოფს ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა დანერგვას დაგეგმვის, აღრიცხვისა და მართვის პრაქტიკაში.

30. საერთო მეთოდურ ხელმძღვანელობას ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების, მათი შედგენისა და წარდგენის წესის შემუშავებისადმი საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის გაერთიანებათა ,საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის შესაბამისი სახეობების მიხედვით ახორციელებენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი.

V. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

31. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის რეორგანიზაცია ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

32. კომიტეტის ლიკვიდაციის შემთხვევაში დადგენილი წესით ცენტრალიზებული სახსრები და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისათვის მიჩენილი სხვა ქონება გადაეცემათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით კომიტეტის სისტემის გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ამ ქონების შექმნაში მათი მონაწილეობის გათვალისწინებით.

33. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

60 საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს დებულების ცვლილებათა და დამატებათა დამტკიცების შესახებ

„კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს დებულებასა და მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქისა და რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოების სანიმუშო დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 24 აპრილის № 357 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს მიერ განხილული და მოწონებული ცვლილებანი და დამატებანი, შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 აგვისტოს № 439 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში და ეს თანდართული დებულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა დაამტკიცონ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების დებულებანი თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 24 აპრილის № 357 დადგენილებით დამტკიცებული სანიმუშო დებულებისა.

3. დაეგზავნოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 24 აპრილის № 357 დადგენილება, რომლითაც დამტკიცებულია კოლმეურნეობათა საბჭოების სანიმუშო დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 28 აგვისტო, № 629

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 28 აგვისტოს № 629 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს შესახებ

1. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო არის კოლმეურნეობათა რესპუბლიკური არჩევითი საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც შექმნილია საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარების, კოლმეურნე გლეხობის შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების, კოლმეურნეობათა ცხოვრებისა და საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების კოლექტიური განხილვის, წარმოების ორგანიზაციის გამოცდილების განზოგადების, საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო წარმოების გადიდებისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს ამოცანაა კოლმეურნეობების ყოველმხრივი განმტკიცება, კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლის სოციალური გარდაქმნის პროგრამის თანმიმდევრული განხორციელება.

2. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო და საქართველოს სსრ ყრილობების, კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო და საქართველოს სსრ კრებების დადგენილებებით, კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს დადგენილებებით, კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით და ამ დებულებით.

3. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოში ირჩევენ კოლმეურნეობათა გამოცდილ თავმჯდომარეებს, საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, წარმომადგენლებს იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა (ორგანიზაციებისა), რომელთა მონაწილენი კოლმეურნეობები არიან, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მეცნიერებს.

4. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო:

განიხილავს კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების დაცვისა და კოლმეურნეობებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს;

განაზოგადებს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) მუშაობის გამოცდილებას, რომელთა მონაწილენი კოლმეურნეობები არიან, და შეიმუშავებს მეურნეობის ეფექტიანი გაძღოლისა და რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, კოლმეურნეობებისათვის მიჩენილი

მიწების რაციონალური გამოყენების, მათი დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების ყოველმხრივი გადიდების, მიწების მელიორაციის, საკოლმეურნეო წარმოების ქიმიზაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის რეკომენდაციებს, ხელს უწყობს წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას;

განიხილავს კოლმეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მატერიალური საშუალებებისა და ფინანსური სახსრების მომჭირნეობით ხარჯვისა და ყოველმხრივი ეკონომიის საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს და შეიმუშავებს საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციებსა და წინადადებებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) წარმოების მართვის, დაგეგმვისა და შინასამეურნეო ანგარიშის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სრულყოფის, საკოლმეურნეო წარმოებაში კოლექტიური იჯარის ფართოდ დანერგვის რეკომენდაციებს;

შეიმუშავებს კოლმეურნეობებში დამხმარე წარმოებათა და სარეწთა შემდგომი განვითარების წინადადებებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) შრომის დაცვისა და პირობების გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარების რეკომენდაციებსა და წინადადებებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს სოფლის სოციალური გარდაქმნის, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, ჯანმრთელობის კერების, პიონერთა ბანაკების მშენებლობის განვითარების, კოლმეურნეობებში სტაბილური შრომითი კოლექტივების შექმნის წინადადებებს;

შეიმუშავებს შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენების, კოლმეურნეთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, მათი სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების წინადადებებს;

განიხილავს და გადაწყვეტს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების გამოყენებასთან;

შეიმუშავებს და განახორციელებს კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს იმ პირუტყვისა და ფრინველის სულადობის გასადიდებლად, რომელთაც ზრდის მოსახლეობა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით;

წარმოადგენს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ინტერესებს სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

წარმართავს და კოორდინაციას გაუწევს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობას, განაზოგადებს ამ საბჭოების მუშაობის გამოცდილებას, განიხილავს მათს წინადადებებს და აღმოუჩენს საჭირო დახმარებას;

განიხილავს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიერ დაყენებულ საკითხებს, მათს განცხადებებს, საჩივრებს და ოპერატიულად ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო განიხილავს საკოლმეურნეო ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს და შეაქვს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში და მართვის სხვა ორგანოებში, აგრეთვე კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოში.

5. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო 5 წელიწადში ერთხელ იწვევს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენლების რესპუბლიკურ კრებებს და, აუცილებლობის შემთხვევაში, კოლმეურნეთა რესპუბლიკურ ყრილობას;

კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა რიგგარეშე რესპუბლიკური კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს ინიციატივით ან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების ერთი მესამედის მოთხოვნით, აგრეთვე კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს წინადადებით.

საქართველოს სსრ კოლმეურნეთა ყრილობებსა და კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენლების რესპუბლიკურ კრებებზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო.

6. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს ირჩევენ ღია კენჭისყრით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა რესპუბლიკურ კრებაზე ან საქართველოს სსრ კოლმეურნეთა ყრილობაზე 5 წლის ვადით.

კოლმეურნეთა რესპუბლიკურ ყრილობებსა და კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენლების რესპუბლიკურ კრებებს შორის პერიოდში საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს შეუძლია, როგორც გამონაკლისი, რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების წარდგენით გასული წევრების ნაცვლად საბჭოში შეიყვანოს ახალი წევრები.

7. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ამავე დროს არის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს, აგრეთვე ამტკიცებს საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს.

8. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო საკითხთა შესწავლისა და საბჭოს სხდომებისათვის კვალიფიციური მომზადების მიზნით ქმნის შესაბამის სექციებს.

9. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო პერიოდულად აშუქებს პრესაში თავის საქმიანობას და იყენებს საბჭოს მუშაობაში საჯაროობის სხვა ფორმებს.

10. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს მიღებული გეგმის შესაბამისად და მართავს სხდომებს წელიწადში ორჯერ მაინც.

საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ან საბჭოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით, აგრეთვე კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს წინადადებით.

საბჭოსა და საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები უფლებამოსილად ჩაითვლება თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი მაინც. საბჭოსა და საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

11. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმი:

ახორციელებს საბჭოს მთელ ორგანიზაციულ საქმიანობას საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში;

ადგენს საბჭოს სამუშაო გეგმების პროექტებს, განიხილავს მასალებს საბჭოს სხდომებისათვის, იძლევა დასკვნებს საქართველოს სსრ იმ ნორმატიული აქტების პროექტების გამო, რომლებიც კოლმეურნეობათა ინტერესებს შეეხება;

ისმენს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ;

განაზოგადებს მოწინავე კოლმეურნეობების მუშაობის გამოცდილებას და უზრუნველყოფს მის გავრცელებას, განიხილავს საკოლმეურნეო დემოკრატიის განვითარებასთან და სოფლის სოციალურ გარდაქმნასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ინფორმაციას აწვდის საბჭოს წევრებს საბჭოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე საჭიროების მიხედვით, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც.

12. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის დროს თავმჯდომარის მოადგილე, წარმართავს საბჭოს, მისი

პრეზიდიუმის მუშაობას და უზრუნველყოფს მათი დადგენილებების შესრულებას.

13. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი წარმართავს სექციების მუშაობას, უზრუნველყოფს საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებისათვის მასალების მომზადებას, პასუხს აგებს საბჭოს საქმისწარმოებისათვის, უზრუნველყოფს პასუხებისა და განმარტებების მომზადებას წერილებსა და შეკითხვებზე, აგრეთვე ასრულებს სხვა მოვალეობებს, რომლებიც დააკისრა საბჭოს პრეზიდიუმმა.

14. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობაში უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) უფლებათა დაცვას, რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, რაც გათვალისწინებულია მათი წესდებებით, დებულებებითა და მოქმედი კანონმდებლობით, ყოველმხრივ უწყობს ხელს მათი სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარებას.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს დადგენილებებს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოებისათვის (ორგანიზაციებისათვის), რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

15. საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს და მის პრეზიდიუმს უფლება აქვთ შეაჩერონ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების დადგენილებათა მოქმედება, თუ ისინი მიღებულია კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების დარღვევით.

16. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებისათვის მასალების მომზადებას, აგრეთვე ტექნიკურ და სამეურნეო მომსახურებას ახორციელებს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის აპარატი.

17. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს აქვს ბეჭედი და შტამპი, რომლებზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 357

1984 წლის 24 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს დებულებასა და მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქისა და რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოების სანიმუშო დებულებებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებსა და რაიონებში აგროსამრეწველო გაერთიანებათა შექმნასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ცვლილებანი და დამატებანი, რომლებიც შეტანილია კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს მიერ 1971 წლის 11 მარტს მიღებულ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 ივნისის № 392 დადგენილებით დამტკიცებულ კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს დებულებასა და მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქისა და რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოების სანიმუშო დებულებებში (სსრკ დადგ. კრებ., 1971 წ., № 12, მუხ. 90), და ჩამოყალიბდეს ეს დებულებანი ახალი რედაქციით (თან ერთვის).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ტიხონოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი**

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971
წლის 16 ივნისის № 392 დადგენილებით.
(სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984
წლის 24 აპრილის № 357 დადგენილე-
ბის რედაქციით)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს შესახებ

1. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო არის კოლმეურნეობათა ცენტრალური არჩევითი საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც შექმნილია საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარების, კოლმეურნე გლეხობის შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების, კოლმეურნეობათა ცხოვრებისა და საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების კოლექტიური განხილვის, წარმოების ორგანიზაციის გამოცდილების განზოგადების და საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო წარმოების გადიდებისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს ამოცანაა საკოლმეურნეო წყობილების ყოველმხრივი განმტკიცება, კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლის სოციალური გარდაქმნის პროგრამის თანამიმდევრული განხორციელება.

2. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მოქმედი კანონმდებლობით, კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობების, მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო კრებების დადგენილებებით, კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებითა და ამ დებულებით.

3. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოში ირჩევენ კოლმეურნეობათა გამოცდილ თავმჯდომარეებს, საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოთა (ორგანიზაციათა) წარმომადგენლებს, რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, მეცნიერებს.

4. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო:

განიხილავს კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მისცემს განმარტებებს კოლმეურნეობების სანიმუშო წესდების გამოყენების საკითხებზე და მოამზადებს წინადადებებს მასში დამატებათა და ცვლილებათა შესატანად;

განაზოგადებს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) მუშაობის გამოცდილებას, რომელთა მონაწილენი

არიან კოლმეურნეობები, და შეიმუშავებს მეურნეობის ეფექტიანი გაძღოლისა და რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, კოლმეურნეობებისათვის მიჩენილი მიწების რაციონალური გამოყენების, მათი დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების ყოველმხრივი გადიდების, მიწების მელიორაციის, საკოლმეურნეო წარმოების ქიმიზაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის რეკომენდაციებს, ხელს უწყობს წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას;

განიხილავს კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებასთან, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასთან და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან, მატერიალური საშუალებებისა და ფინანსური სახსრების მომჭირნეობისა და ყოველმხრივი ეკონომიის, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციებსა და წინადადებებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) წარმოების მართვის, დაგეგმვისა და შინასამეურნეო ანგარიშის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სრულყოფის, საკოლმეურნეო წარმოებაში კოლექტიური იჯარის ფართოდ დანერგვის რეკომენდაციებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) შრომის პირობებისა და დაცვის გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარების წინადადებებსა და რეკომენდაციებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს სოფლის სოციალური გარდაქმნის, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, ჯანმრთელობის კერების, პიონერთა ბანაკების მშენებლობის განვითარების, კოლმეურნეობებში სტაბილური კოლექტივების შექმნის წინადადებებს;

შეიმუშავებს კოლმეურნეობებში დამხმარე წარმოებათა და სარეწთა შემდგომი განვითარების წინადადებებს;

შეიმუშავებს შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენების, კოლმეურნეთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, მათი სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების წინადადებებს;

სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის სამხარეო, საოლქო კომიტეტთან ერთად განიხილავს და გადაწყვეტს კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს კოლმეურნეთა პირადი დახმარე მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს იმ პირუტყვისა და ფრინველის სულადობის გასადიდებლად, რომელთაც ზრდის მოსახლეობა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით;

შეიმუშავებს და მიიღებს დადგენილი წესით კოლმეურნეობის სანიმუშო შინაგანაწესს, სანიმუშო დებულებებს ბრიგადებისა და ფერმების საბჭოების საარევიზიო კომისიების შესახებ და სხვა აქტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ შინასაკოლმეურნეო ურთიერთობის სრულყოფას;

წარმოადგენს კოლმეურნეობათა ინტერესებს სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

განიხილავს წინასწარი წესით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შუამდგომლობებს კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად გარდაქმნის შესახებ და მისცემს მათ გამო თავის დასკვნას;

წარმართავს და კოორდინაციას გაუწევს რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობას, განაზოგადებს ამ საბჭოების მუშაობის გამოცდილებას, განიხილავს მათს წინადადებებს და აღმოუჩენს საჭირო დახმარებას;

განიხილავს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიერ დაყენებულ საკითხებს, მათს განცხადებებსა და საჩივრებს და მიიღებს მათ გამო საჭირო ზომებს;

განიხილავს წინადადებებს რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა მიერ ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზაციის შესახებ, თუ ეს იწვევს კოლმეურნეობებისაგან ძირითადი საწარმოო ფონდების (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მისი სარემონტო სახელოსნოების და სხვ.) გადაცემას, მექანიზატორთა ან სხვა მუშაკთა კადრების გადაყვანას სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო განიხილავს საკოლმეურნეო ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებსაც, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს და წარუდგენს მათ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მმართველობის სხვა ორგანოებს.

5. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო დაამყარებს კავშირურთიერთობას და გაუზიარებს საკოლმეურნეო მშენებლობის გამოცდილებას საზღვარგარეთის ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივთა წარმომადგენლობითს ორგანოებს.

6. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო 5 წელიწადში ერთხელ მოიწვევს მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო კრებას და საჭიროების კვალობაზე — კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობას. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს შეუძლია მოიწვიოს მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა რიგგარეშე სრულიად საკავშირო კრებები თავისი ინიციატივით ან მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა საბჭოების ერთი მესამედის მოთხოვნით.

კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეთა საბჭოების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო კრებებზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო.

7. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს ირჩევენ ღია კენჭისყრით მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო კრებაზე ან კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე 5 წლის ვადით.

კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენლობათა სრულიად საკავშირო კრებებს შორის პერიოდში კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს შეუძლია, როგორც გამონაკლისი, კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმისა და მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა საბჭოების წარდგენით შეიყვანოს გასული წევრების ნაცვლად საბჭოში ახალი წევრები.

8. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ამავე დროს არის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს, აგრეთვე ამტკიცებს საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს.

9. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო საკითხთა შესწავლისა და საბჭოს სხდომებისათვის კვალიფიციური მომზადების მიზნით ქმნის შესაბამის სექციებს.

10. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო პერიოდულად აშუქებს პრესაში თავის საქმიანობას და იყენებს საბჭოს მუშაობაში საჯაროობის სხვა ფორმებს.

11. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს მის მიერ მიღებული გეგმის მიხედვით და მართავს სხდომებს წელიწადში ორჯერ მაინც. საბჭოს რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ან საბჭოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

საბჭოსა და საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები უფლებამოსილად ჩაითვლება თუ მათ ესწრება წევრთა ორი მესამედი მაინც. საბჭოსა და საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

12. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმი:

ახორციელებს საბჭოს მთელ ორგანიზაციულ საქმიანობას საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში;

ადგენს საბჭოს სამუშაო გეგმათა პროექტებს, განიხილავს მასალებს საბჭოს სხდომებისათვის, იძლევა დასკვნებს ნორმატიული აქტების პროექტების გამო, რომლებიც კოლმეურნეობათა ინტერესებს შეეხება;

ისმენს რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ;

ინფორმაციას აწვდის კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს წევრებს საბჭოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციის შესახებ.

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს კოლმეურნეობების, იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც.

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს იწვევს საბჭოს თავმჯდომარე საჭიროების კვალობაზე, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც.

13. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის დროს თავმჯდომარის მოადგილე, წარმართავს საბჭოს, მისი პრეზიდიუმის მუშაობას და უზრუნველყოფს მათი დადგენილებების შესრულებას.

14. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი წარმართავს სექციების მუშაობას და უზრუნველყოფს საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებისათვის მასალების მომზადებას, პასუხს აგებს საბჭოს საქმისწარმოებისათვის, უზრუნველყოფს პასუხებისა და განმარტებების მომზადებას წერილებსა და შეკითხვებზე, აგრეთვე ასრულებს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მისთვის დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

15. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო თავის საქმიანობაში უზრუნველყოფს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) უფლებათა დაცვას, რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, რაც გათვალისწინებულია მათი წესდებებით, დებულებებითა და მოქმედი კანონმდებლობით, ყოველმხრივ უწყობს ხელს მათი სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარებას.

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს დადგენილებებს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოებისათვის (ორგანიზაციებისათვის), რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, აქვთ სარეკომენდაციო ხასიათი.

16. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოსა და მის პრეზიდიუმს უფლება აქვთ შეაჩერონ მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა საბჭოების იმ დადგენილებათა მოქმედება, რომლებიც მიღებულია კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების დარღვევით.

17. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებისათვის მასალების მომზადებას აგრეთვე ტექნიკურ და სამეურნეო მომსახურებას ახორციელებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი.

18. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს აქვს ბეჭედი და შტამპი, რომლებზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971
წლის 16 ივნისის № 392 დადგენილებით
(სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984
წლის 24 აპრილის № 357 დადგენილე-
ბის რედაქციით)

სანიმუშო დებულება

მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს შესახებ

1. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭო არის კოლმეურნეობათა რესპუბლიკური არჩევითი საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც შექმნილია საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარების, კოლმეურნე გლეხობის შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების, კოლმეურნეობათა ცხოვრებისა და საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების კოლექტიური განხილვის, წარმოების ორგანიზაციის გამოცდილების განზოგადების და საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო წარმოების გადიდებისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს ამოცანაა კოლმეურნეობების ყოველმხრივი განმტკიცება, კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლის სოციალური გარდაქმნის პროგრამის თანამიმდევრული განხორციელება.

2. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით, კოლმეურნეობათა სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური ყრილობების, რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური კრებების დადგენილებებით (მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა რესპუბლიკური კრებების დადგენილებებით), კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს დადგენილებებით, კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებითა და მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს დებულებით.

3. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოში ირჩევენ კოლმეურნეობათა გამოცდილ თავმჯდომარეებს, საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოთა (ორგანიზაციათა) წარმომადგენლებს, რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, მეცნიერებს.

4. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭო:

განიხილავს კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების დაცვასთან და კოლმეურნეობებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

განაზოგადებს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) მუშაობის გამოცდილებას, რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, და შეიმუშავებს მეურნეობის ეფექტიანი გაძღოლისა და რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, კოლმეურნეობებისათვის მიჩენილი მიწების რაციონალური გამოყენების, მათი დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების ყოველმხრივი გადიდების, მიწების მელიორაციის, საკოლმეურნეო წარმოების ქიმიზაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის რეკომენდაციებს, ხელს უწყობს წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას;

განიხილავს კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებასთან, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასთან და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან, მატერიალური საშუალებებისა და ფინანსური სახსრების მომჭირნეობისა და ყოველმხრივი ეკონომიის, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციებსა და წინადადებებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) წარმოების მართვის, დაგეგმვისა და შინასამეურნეო ანგარიშის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების, საკოლმეურნეო წარმოებაში კოლექტიური იჯარის ფართოდ დანერგვის რეკომენდაციებს;

შეიმუშავებს კოლმეურნეობებში დამხმარე წარმოებათა და სარეწთა შემდგომი განვითარების წინადადებებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) შრომის დაცვისა და პირობების გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარების რეკომენდაციებსა და წინადადებებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს სოფლის სოციალური გარდაქმნის, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, ჯანმრთელობის კერების, პიონერთა ბანაკების მშენებლობის განვითარების, კოლმეურნეობებში სტაბილური შრომითი კოლექტივების შექმნის წინადადებებს;

შეიმუშავებს შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენების, კოლმეურნეობათა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, მათი სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების წინადადებებს;

სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად განიხილავს და გადაწყვეტს კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

შეიმუშავებს და განახორციელებს კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, განაზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს იმ პირუტყვისა და ფრინველის სულადობის გასადიდებლად, რომელთაც ზრდის მოსახლეობა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით;

წარმოადგენს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ინტერესებს სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

წარმართავს და კოორდინაციას გაუწევს ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობას, განაზოგადებს ამ საბჭოების მუშაობის გამოცდილებას, განიხილავს მათს წინადადებებს და აღმოუჩენს საჭირო დახმარებას;

განიხილავს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიერ დაყენებულ საკითხებს, მათს განცხადებებსა და საჩივრებს და მიიღებს მათ გამო საჭირო ზომებს.

მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭო განიხილავს საკოლმეურნეო ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს და წარუდგენს მოკავშირე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მმართველობის სხვა ორგანოებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს.

5. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭო 5 წელიწადში ერთხელ იწვევს ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების (მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების) წარმომადგენელთა რესპუბლიკურ კრებებს და, საჭიროების კვალობაზე — მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეთა ყრილობას.

კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა რიგგარეშე რესპუბლიკური კრებები შეიძლება მოწვეულ იქნეს მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს ინიციატივით ან ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების კოლმეურნეობათა საბჭოების ერთი მესამედის მოთხოვნით მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების ერთი მესამედის მოთხოვნით), აგრეთვე კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს წინადადებით.

მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეთა ყრილობებსა და კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა რესპუბლიკურ კრებებზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭო.

6. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს ირჩევენ ღია კენჭისყრით ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა რესპუბლიკურ კრებაზე (მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა რესპუბლიკურ კრებაზე) ან მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ყრილობაზე 5 წლის ვადით.

მოკავშირე რესპუბლიკის ყრილობებსა და კოლმეურნეობათა შესაბამისი საბჭოების წარმომადგენელთა რესპუბლიკურ კრებებს შორის პერიოდში მო-

კავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს შეუძლია, როგორც გამონაკლისი, მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმის და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების წარდგენით შეიყვანოს გასული წევრების ნაცვლად საბჭოში ახალი წევრები.

7. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ამავე დროს არის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს, აგრეთვე ამტკიცებს საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს.

8. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭო საკითხთა შესწავლისა და საბჭოს სხდომებისათვის კვალიფიციური მომზადების მიზნით ქმნის შესაბამის სექციებს.

9. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭო პერიოდულად აშუქებს პრესაში თავის საქმიანობას და იყენებს საბჭოს მუშაობაში საჯაროობის სხვა ფორმებს.

10. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს მის მიერ მიღებული გეგმის მიხედვით და მართავს სხდომებს წელიწადში ორჯერ მაინც. საბჭოს რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ან საბჭოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით, აგრეთვე კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს წინადადებით.

საბჭოსა და საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი მაინც. საბჭოსა და საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

11. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმი:

ახორციელებს საბჭოს მთელ ორგანიზაციულ საქმიანობას საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში;

ადგენს საბჭოს სამუშაო გეგმათა პროექტებს, განიხილავს მასალებს საბჭოს სხდომებისათვის, იძლევა დასკვნებს მოკავშირე რესპუბლიკის იმ ნორმატიული აქტების პროექტების გამო, რომლებიც კოლმეურნეობათა ინტერესებს შეეხება;

ისმენს ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ;

განაზოგადებს მოწინავე კოლმეურნეობების მუშაობის გამოცდილებას და უზრუნველყოფს მის გავრცელებას, განიხილავს საკოლმეურნეო დემოკრატიის განვითარებასთან და სოფლის სოციალურ გარდაქმნასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ინფორმაციას აწვდის საბჭოს წევრებს საბჭოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, და ავტონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც.

მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე საჭიროების კვალობაზე, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც.

12. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის დროს თავმჯდომარის მოადგილე, წარმართავს საბჭოს, მისი პრეზიდიუმის მუშაობას და უზრუნველყოფს მათი დადგენილებების შესრულებას.

13. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი წარმართავს სექციების მუშაობას და უზრუნველყოფს საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებისათვის მასალების მომზადებას, პასუხს აგებს საბჭოს საქმისწარმოებისათვის, უზრუნველყოფს პასუხებისა და განმარტების მომზადებას წერილებსა და შეკითხვებზე, აგრეთვე ასრულებს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მისთვის დაკისრებულ სხვა მოვალეობებს;

14. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობაში უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) უფლებათა დაცვას, რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, რაც გათვალისწინებულია მათი წესდებებით, დებულებებითა და მოქმედი კანონმდებლობით, ყოველმხრივ უწყობს ხელს მათი სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარებას.

მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს დადგენილებებს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოებისათვის (ორგანიზაციებისათვის), რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

15. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს და მის პრეზიდიუმს უფლება აქვთ შეაჩერონ ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქისა და რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოების იმ დადგენილებათა მოქმედება, რომლებიც მიღებულია კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების დარღვევით.

16. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებისათვის მასალების მომზადებას, აგრეთვე ტექნიკურ და სამეურნეო მომსახურებას ახორციელებს მოკავშირე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი.

17. მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს აქვს ბეჭედი და შტამპი, რომლებზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971
წლის 16 ივნისის № 392 დადგენილებით
(სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984
წლის 24 აპრილის № 357 დადგენილე-
ბის რედაქციით)

სანიმუშო დებულება

ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს შესახებ

1. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭო არის კოლმეურნეობათა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო არჩევითი საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც შექმნილია საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარების, კოლმეურნე გლეხობის შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების, კოლმეურნეობათა ცხოვრებისა და საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების კოლექტიური განხილვის, წარმოების ორგანიზაციის გამოცდილების განზოგადების და საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო წარმოების გადიდებისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს ამოცანაა კოლმეურნეობების ყოველმხრივი განმტკიცება კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლის სოციალური გარდაქმნის პროგრამის თანამიმდევრული განხორციელება.

2. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებით, მოქმედი კანონმდებლობით, კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური ყრილობების, კოლმეურნეთა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო კონფერენციებისა და კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა კრებების დადგენილებებით, კოლმეურნეობათა ზემდგომი საბჭოების დადგენილებებით, კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებითა და ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს დებულებით.

3. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოში ირჩევენ კოლმეურნეობათა გამოცდილ თავმჯდომარეებს, საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოთა (ორგანიზაციათა) წარმომადგენლებს, რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, მეცნიერებს.

4. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭო:

განიხილავს კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების დაცვასთან და კოლმეურნეობებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

განაზოგადებს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) მუშაობის გამოცდილებას, რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, და შეიმუშავებს მეურნეობის ეფექტიანი გაძღოლისა და რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, კოლმეურნეობებისათვის მიჩენილი მიწების რაციონალური გამოყენების, მათი დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების ყოველმხრივი გადიდების, მიწების მელიორაციის, საკოლმეურნეო წარმოების ქიმიზაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის რეკომენდაციებს, ხელს უწყობს წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას;

განიხილავს კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებასთან, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასთან და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან, მატერიალური საშუალებებისა და ფინანსური სახსრების მომჭირნეობისა და ყოველმხრივი ეკონომიის, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციებსა და წინადადებებს;

შეიმუშავებს კოლმეურნეობათა შემოსავლის სწორი განაწილების, მათი ძირითადი და საბრუნავი ფონდების ეფექტიანი გამოყენების, კოლმეურნეობებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების რეკომენდაციებს;

შეიმუშავებს კოლმეურნეობებში დამხმარე წარმოებათა და სარეწთა შემდგომი განვითარების წინადადებებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) შრომის პირობებისა და დაცვის გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარების წინადადებებსა და რეკომენდაციებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს სოფლის სოციალური გარდაქმნის, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, ჯანმრთელობის კერების, პიონერთა ბანაკების მშენებლობის განვითარების, კოლმეურნეობებში სტაბილური შრომითი კოლექტივების შექმნის წინადადებებს;

შეიმუშავებს შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენების, კოლმეურნეთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, მათი სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების წინადადებებს, დაამტკიცებს საკავშირო პროფსაბჭოსთან (ან შესაბამის შემთხვევებში სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან) ერთად სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით კოლმეურნეობების წევრთა სოციალური დაზღვევის განხორციელების დებულებებსა და ინსტრუქციებს;

შეიმუშავებს კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის წინადადებებს, განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს იმ პირუტყვისა და ფრინველის სულადობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასადიდებლად, რომელთაც ზრდის მოსახლეობა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით;

განიხილავს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიერ დაყენებულ საკითხებს, მათს განცხადებებსა და საჩივრებს და მიიღებს მათ გამო საჭირო ზომებს;

წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა ინტერესებს სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

წარმართავს და კოორდინაციას გაუწევს რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობას, განაზოგადებს ამ საბჭოების მუშაობის გამოცდილებას, განიხილავს მათს წინადადებებს და აღმოუჩენს საჭირო დახმარებას.

ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭო განიხილავს საკოლმეურნეო ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებსაც, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს და წარუდგენს მათ ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამხარეო საბჭოს აღმასკომის, საოლქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს და მმართველობის სხვა ორგანოებს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს.

5. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭო 2-3 წელიწადში ერთხელ მოიწვევს რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა კრებას და საჭიროების კვალობაზე — კოლმეურნეთა რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო კონფერენციას. რაიონების კოლმეურნობათა საბჭოების წარმომადგნელთა რიგგარეშე კრებები შეიძლება მოწვეულ იქნეს ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს ინიციატივით ან რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების ერთი მესამედის მოთხოვნით, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს წინადადებით.

კოლმეურნეთა რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო კონფერენციასა და რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა კრებაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭო.

6. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს ირჩევენ ღია კენჭისყრით რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა კრებაზე ან კოლმეურნეთა რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო კონფერენციაზე 2-3 წლის ვადით.

კოლმეურნეთა რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო კონფერენციებსა და რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა კრებებს შორის პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს შეუძლია, როგორც გამონაკლისი, ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმისა და რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების წარდგენით შეიყვანოს გასული წევრების ნაცვლად საბჭოში ახალი წევრები.

7. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ამავე დროს არის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს, აგრეთვე ამტკიცებს საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს.

8. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭო საკითხთა შესწავლისა და საბჭოს სხდომებისათვის კვალიფიციური მომზადების მიზნით ქმნის შესაბამის სექციებს.

9. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭო პერიოდულად აშუქებს პრესაში თავის საქმიანობას და იყენებს საბჭოს მუშაობაში საჯაროობის სხვა ფორმებს.

10. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს მის მიერ მიღებული გეგმის მიხედვით და მართავს წელიწადში ორ სხდომას. საბჭოს რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ან საბჭოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით, აგრეთვე კოლმეურნეობათა ზემდგომი საბჭოს წინადადებით.

საბჭოსა და საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მათ ესწრება წევრთა ორი მესამედი მაინც. საბჭოსა და საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

11. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმი:

ახორციელებს საბჭოს მთელ ორგანიზაციულ საქმიანობას საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში;

ადგენს საბჭოს სამუშაო გეგმათა პროექტებს, განიხილავს მასალებს საბჭოს სხდომებისათვის, იძლევა დასკვნებს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტების გამო, რომლებიც კოლმეურნეობათა ინტერესებს შეეხება;

ისმენს რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ;

ინფორმაციას აწვდის ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს წევრებს საბჭოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციის შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს კოლმეურნეობების, იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, და რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც.

საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს იწვევს საბჭოს თავმჯდომარე საჭიროების კვალობაზე, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც.

12. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის დროს თავმჯდომარის მოადგილე წარმართავს საბჭოს, მისი პრეზიდიუმის მუშაობას და უზრუნველყოფს მათი დადგენილებების შესრულებას.

13. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი წარმართავს სექციების მუშაობას და უზრუნველყოფს საბჭოთა და მისი პრეზიდიუმის სხდომებისათვის მასალების მომზადებას, პასუხს აგებს საბჭოს საქმისწარმოებისათვის, უზრუნველყოფს პასუხებისა და განმარტებების მომზადებას წერილებსა და შეკითხვებზე, აგრეთვე ასრულებს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მისთვის დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

14. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობაში უზრუნველყოფს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) უფლებათა დაცვას, რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, რაც გათვალისწინებულია მათი წესდებებით, დებულებებითა და მოქმედი კანონმდებლობით, ყოველმხრივ უწყობს ხელს მათი სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარებას.

ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს დადგენილებებს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოებისათვის (ორგანიზაციებისათვის), რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, აქვთ სარეკომენდაციო ხასიათი.

15. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოსა და მის პრეზიდიუმს უფლება აქვთ შეაჩერონ რაიონების კოლმეურნეობათა საბჭოების იმ დადგენილებათა მოქმედება, რომლებიც მიღებულია კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების დარღვევით.

16. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებისათვის მასალების მომზადებას, აგრეთვე ტექნიკურ და სამეურნეო მომსახურებას ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამხარეო საბჭოს აღმასკომის, საოლქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს აპარატი.

17. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოს აქვს ბეჭედი და შტამბი, რომლებზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 ივნისის № 392 დადგენილებით (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 24 აპრილის № 357 დადგენილების რედაქციით)

სანიმუშო დებულება

რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოს შესახებ

1. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭო არის კოლმეურნეობათა რაიონული არჩევითი საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც შექმნილია საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარების, კოლმეურნე გლეხობის შემოქმედებითი აქტივობის აძაღლების, კოლმეურნეთა ცხოვრებისა და საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების კოლექტიური განხილვის, წარმოების ორგანიზაციის გამოცდილების განზოგადების და საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო წარმოების გადიდებისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოს ამოცანაა კოლმეურნეობების ყოველმხრივი განმტკიცება, კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის გახვითარებისა და სოფლის სოციალური გარდაქმნის პროგრამის თანამიმდევრული განხორციელება.

2. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებით, მოქმედი კანონმდებლობით, კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური ყრილობების, კოლმეურნეთა რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კონფერენციების, კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა კრებების, კოლმეურხეობების წარმომადგენელთა რაიონული კრებების დადგენილებებით, კოლმეურნეობათა ზემდგომი საბჭოების დადგენილებებით, კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებითა და რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოს დებულებით.

3. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოში ირჩევენ რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოთა (ორგანიზაციათა) წარმომადგენლებს, რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, მეცნიერებს.

4. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭო:

განიხილავს კოლმეურნეობათა წესდებების დაცვასთან და კოლმეურნეობებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

განაზოგადებს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) მუშაობის გამოცდილებას, რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, და შეიმუშავებს მეურნეობის ეფექტიანი გაძღოლისა და რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, კოლმეურნეობებისათვის მიჩენილი მიწების რაციონალური გამოყენების, მათი დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების ყოველმხრივი გადიდების, მიწების მელიორაციის, საკოლმეურნეო წარმოების ქიმიზაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის რეკომენდაციებს, ხელს უწყობს წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას;

განიხილავს კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებასთან, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასთან და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან, მატერიალური საშუალებებისა და ფინანსური სახსრების მომჭირნეობისა და ყოველმხრივი ეკონომიის, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციებსა და წინადადებებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) წარმოების მართვის, დაგეგმვისა და შინასამეურნეო ანგარიშის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სრულყოფის, საკოლმეურნეო წარმოებაში კოლექტიური იჯარის ფართოდ დანერგვის წინადადებებს;

განიხილავს შემოსავლის სწორად განაწილების საკითხებს და შეიმუშავებს კოლმეურნეობათა ძირითადი და საბრუნავი ფონდების ეფექტიანი გამოყენების რეკომენდაციებს;

შეიმუშავებს კოლმეურნეობებში დამხმარე წარმოებათა და სარეწთა განვითარების წინადადებებს;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) შრომის პირობებისა და დაცვის გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარების წინადადებებსა და რეკომენდაციებს;

განიხილავს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიერ დაყენებულ საკითხებს, მათს განცხადებებსა და საჩივრებს და მიიღებს მათ გამო საჭირო ზომებს;

განაზოგადებს და გაავრცელებს მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებას საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის, განახორციელებს პრაქტიკულ ღონისძიებებს კოლმეურნეთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გასაუმჯობესებლად, კოლმეურნეობებში სტაბილური შრომითი კოლექტივების შესაქმნელად;

შეიმუშავებს შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენების წინადადებებს;

შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს იმ პირუტყვისა და ფრინველის სულადობის გასადიდებლად, რომელთაც ზრდის მოსახლეობა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით;

წარმოადგენს რაიონის კოლმეურნეობათა ინტერესებს სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

რაიონის კოლმეურნეობათა საბჭო განიხილავს საკოლმეურნეო ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებსაც, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს და წარუდგენს მათ რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის საამმართველოსა და მმართველობის სხვა ორგანოებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა ზემდგომ საბჭოს.

5. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭო წელიწადში ერთხელ მოიწვევს რაიონის კოლმეურნეობების წარმომადგენელთა კრებას. რაიონის კოლმეურნეობების წარმომადგენელთა რიგგარეშე კრებები შეიძლება მოწვეულ იქნეს რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოს ინიციატივით ან რაიონის კოლმეურნეობათა ერთი მესამედის მოთხოვნით, აგრეთვე კოლმეურნეობათა ზემდგომი საბჭოს წინადადებით.

კოლმეურნეობების წარმომადგენელთა რაიონულ კრებაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს რაიონის კოლმეურნეობათა საბჭო.

6. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოს ირჩევენ ღია კენჭისყრით კოლმეურნეობების წარმომადგენელთა კრებაზე 2-3 წლის ვადით.

რაიონის კოლმეურნეობათა საბჭო აირჩევა, თუ ადმინისტრაციულ რაიონში არის 3 კოლმეურნეობა მაინც.

7. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭო პერიოდულად აშუქებს პრესაში თავის საქმიანობას და იყენებს საბჭოს მუშაობაში საჯაროობის სხვა ფორმებს.

8. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს (ერთ-ერთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს) და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, აგრეთვე ამტკიცებს საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა რიცხვიდან.

9. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს მის მიერ მიღებული გეგმის მიხედვით და მართავს წელიწადში ორ სხდომას. საბჭოს რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ ან საბჭოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით, აგრეთვე კოლმეურნეობათა ზემდგომი საბჭოს წინადადებით.

საბჭოს სხდომები უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მათ ესწრება საბჭოს წევრთა ორი მესამედი მაინც. საბჭოს დადგენილებები მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

10. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოს თავმჯდომარე წარმართავს საბჭოს მუშაობას, უზრუნველყოფს მისი დადგენილებების შესრულებას, ხოლო საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში ახორციელებს საბჭოს მთელ ორგანიზაციულ საქმიანობას.

11. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს სხდომებისათვის მასალების მომზადებას, პასუხს აგებს საბჭოს საქმისწარმოებისთვის, უზრუნველყოფს პასუხებისა და განმარტებების მომზადებას კოლმეურნეობათა, რაიონულ ორგანიზაციათა, კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა წერილებსა და შეკითხვებზე, აგრეთვე ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის მიერ მისთვის დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

12. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობაში უზრუნველყოფს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) უფლებათა დაცვას, რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, რაც გათვალისწინებულია მათი წესდებებით, დებულებებითა და მოქმედი კანონმდებლობით. ყოველმხრივ უწყობს ხელს მათი სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარებას.

რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოს დადგენილებებს კოლმეურნეობებისა და იმ სამეურნეობათაშორისო საწარმოებისათვის (ორგანიზაციებისათვის), რომელთა მონაწილენი არიან კოლმეურნეობები, აქვთ სარეკომენდაციო ხასიათი.

13. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოს სხდომებისათვის მასალების მომზადებას, აგრეთვე ტექნიკურ და სამეურნეო მომსახურებას ახორციელებს რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველო.

14. რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოს აქვს ბეჭედი და შტამპი, რომლებზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

61 საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების გამოყენების ინსტრუქციაში დამატების შეტანის თაობაზე

„საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 28 ივლისის № 540 დადგენილების რედაქციით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების გამოყენების ინსტრუქციაში სიტყვების: „9 მაისს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „1 სექტემბერს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 29 აგვისტო, № 641

62 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე ვენახების უნებართვოდ აჩეხვის აკრძალვისა და ამ საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტის შესახებ

„რესპუბლიკის მევენახეობასა და მეღვინეობაში ჩამორჩენის უსწრაფესად დაძლევისა და ამ დარგების შემდგომი აღმავლობის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 20 მარტის № 179 დადგენილების მე-8 პუნქტის შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აიკრძალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე ვენახების აჩეხვა სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ნებართვის გარეშე.

2. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა დააწესონ მკაცრი კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი.

3. წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 22 აგვისტო, № 643

63 სკოლა-ინტერნატებში კოლმეურნეთა შვილების მოვლა-პატრონობის საფასურის ოდენობისა და გადახდევინების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებში კოლმეურნეთა შვილების მოვლა-პატრონობის საფასური გადახდებათ იმ ოდენობითა და წესით, რომელთაც ითვალისწინებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების შესახებ“ და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1984 წლის 11 მარტის № 11-მ ინსტრუქცია „ინტერნატულ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის საფასურის გამოანგარიშებისა და მშობელთათვის გადახდევინების წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 30 აგვისტო, № 644

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4, 1984 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/II-85 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 5,5, სააღრიცხვო თაბახი 5,5

შეკვეთა 1273 უე 11097 ტირაჟი 1700

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.